ქართული ჯარი

იანვარი 2019

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, საერთო მიზნისკენ – ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის



„ახალი, 2019 წელი ახალი გამოწვევების დასაწყისია, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო ღირსეულად ხვდება და განაგრძობს საქართველოს თავდაცვის ძალების აღმშენებლობას“

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია

გვ.2

საქმიანობის შეჯამება – 2018 წელი

გვ.4

ახალი წელი თავდაცვის ძალებში

გვ.3

ინტერვიუ თავდაცვის მინისტრთან



გვ.7

მწერლები მშვიდობისთვის

გვ.16

პროფესია ჯარისკაცი

გვ.14

„ახალი, 2019 წელი ახალი გამოწვევების დასაწყისია, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო ღირსეულად ხვდება და განაგრძობს საქართველოს თავდაცვის ძალების აღმშენებლობას“

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია

თავდაცვის ძალების პირად შემადგენლობას, თავდაცვის სამინისტროს თითოეულ თანამშრომელს და სრულიად საქართველოს ვულოცავ ახალი 2019 წლის დადგომას. მინდა ქვეყნის გამთლიანება, გაძლიერება და კეთილდღეობა ვუსურვო.

გასულ 2018 წელს, თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესში, ჩვენ არაერთ წარმატებას მივაღწიეთ, რაც მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებასთან ერთად, თითოეული სამხედრო მოსამსახურისადმი სახელმწიფოს განსაკუთრებული დამოკიდებულების შედეგია. საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება მუდმივი პროცესია, რომელიც უსაფრთხოების ცვალებადი გარემოსა და ახალი გამოწვევების ფონზე, მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვს, რათა სათანადოდ დავიცვათ და უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა.

გასული წლიდან, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 2% თავდაცვაზე იხარჯება, ხოლო თავდაცვის ბიუჯეტის 20% შეიარაღებაზეა მიმართული, რაც ნატო-ს სტანდარტებს შეესაბამება და სამაგალითოა ნატო-ს არაერთი წევრი ქვეყნისთვის. წარმატებით დაიწყო და მიმდინარეობს საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP), რომლის ფარგლებში უკვე გაიწვრთნა და აღჭურვა თავდაცვის ძალების ორი ბატალიონი. ამოქმედდა რეზერვის საპილოტე პროგრამა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ტოტალური თავდაცვის კონცეფციის განხორციელების თვალსაზრისით. ნატო-ს სტანდარტის ჯავშანსაწინააღმდეგო საჰაერო თავდაცვის თანამედროვე სისტემების შესყიდვით გაძლიერდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. გაიხსნა საბრძოლო მომზადების ცენტრი (CTC), განვითარდა სამხედრო განათლებისა და სამხედრო წვრთნების შესაძლებლობები. წარმატებით მიმდინარეობს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ინიციატივების იმპლემენტაცია, რომელიც ნატო-მ სხვა პარტნიორი ქვეყნებისთვის სამოდელო პროექტად აღიარა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარების თვალსაზრისით. განვითარდა და დაიხვეწა ლოგისტიკური შესაძლებლობები.

2018 წელს, საქართველოს თავდაცვის ძალებმა საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების პროცესშიც დიდი ძალისხმევა განახორციელა. ქართველი სამხედრო მოსამსახურეები, ავღანეთში, ნატო-ს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო მისიაში და აფრიკის კონტინენტზე წარმოებულ ევროკავშირის მისიებში, უწინდებურად, ჩვეული სიმტკიცითა და თავდადებით იცავენ მშვიდობას. ავღანეთის მისიაში ჩვენი ქვეყნის უდიდესი კონტრიბუცია, ნატო-ს საპასუხო ძალებში მონაწილეობა და საქართველოში ჩატარებული მრავალეროვნული სამხედრო წვრთნები ნათლად ადასტურებს საქართველოს თავდაცვის ძალების ნატო-სთან ურთიერთთავსებადობის მაღალ დონეს, რომლის განვითარება თავდაცვის პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარება წარმოუდგენელია იმ სამხედრო-ისტორიული მემკვიდრეობის პატივისცემის გარეშე, რომელიც ქართული მებრძოლი სულის განუყოფელი ნაწილია. ახალშექმნილი საქართველოს სამხედრო ისტორიის ინტერნეტ რესურსიც სწორედ ქართველი გმირი სამხედრო მოსამსახურეების უკვდავყოფას ემსახურება, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე ქვეყნის ერთიანობისთვის ბრძოლას შესწირეს. ქართული მხედრობის ისტორიით და გმირებზე საუბრით იწყებენ ლექციებს საჯარო სკოლებში ჩვენი სერჟანტები და უმცროსი ოფიცრები, რომლებიც ახალგაზრდა თაობას თავდაცვის ძალების შესახებ ცნობიერებას უმაღლებენ. მნიშვნელოვანია, რომ 2019 წელს საჯარო სკოლებში ახალი საგანი „თავდაცვა და უსაფრთხოება“ დამკვიდრდება, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ახალგაზრდობაში სამხედრო-პატრიოტული თვითშეგნების ამაღლებას და წინ გადადგმული ნაბიჯი გახდება ტოტალური თავდაცვის პრინციპის განსახორციელების პროცესში.

ჩვენი გმირების პატივისცემა გვავალდებულებს ვიზრუნოთ თავდაცვის ძალების ყოველ სამხედრო მოსამსახურეზე და გავაუმჯობესოთ მათი სოციალური პირობები. მნიშვნელოვანია, რომ 2018 წელს, მოტივაციის ამაღლებისა და ანაზღაურების პირობების გაუმჯობესების მიზნით, სამხედრო მოსამსახურეთა გარკვეულ კატეგორიებზე დანამატების გასაცემად ფინანსური რესურსები გამოიყო. არაერთი სამხედრო მოსამსახურე საცხოვრებლით იქნა უზრუნველყოფილი. ქუთაისში გაიხსნა სამხედრო ჰოსპიტალის ახალი სამედიცინო ცენტრი, რომელიც დასავლეთ საქართველოში დისლოცირებულ სამხედრო მოსამსახურეებს კვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებას გაუწევს. საფუძველი ჩაეყარა მარო მაყაშვილის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის ახალ მრავალპროფილურ კომპლექსს, სადაც ჩვენი დაჭრილ-დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები, რომელთა სპორტული წარმატებებით მთელი ქვეყანა ამაყობს, უმაღლესი დონის რეაბილიტაციას გაივლიან.

აღნიშნული მიღწევები წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის - აშშ-ის და ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერის გარეშე, რომლებიც უპირობოდ აღიარებენ თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ წარმატებულ რეფორმებს და საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე საიმედო მოკავშირედ მიიჩნევენ. აშშ-სთან და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან საქართველოს არასოდეს ჰქონია ისეთი მჭიდრო თანამშრომლობა, როგორც დღეს და ეს მზარდი დინამიკა მომავალ წელს კიდევ უფრო მაღალ ნიშნულს მიაღწევს.

2019 წელი გამოცხადებულია კიბერ უსაფრთხოების წლად, რაც თავდაცვის სისტემაში კიბერ შესაძლებლობების ინტენსიურ განვითარებას გულისხმობს. მარტში დაგეგმილია „ნატო-საქართველოს სწავლება 2019“, რომელიც ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) ხელმძღვანელობით გაიმართება. სწავლება საქართველოში მეორედ ჩატარდება და მასში, ჩვენთან ერთად, ნატო-ს წევრი და პარტნიორი 22 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. აღნიშნული ღონისძიება ნატო-სთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და ურთიერთთავსებადობის ამაღლების მორიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდება, რაც, ჩვენი ურთიერთობის უპრეცედენტო დინამიკის კვალობაზე, კიდევ უფრო დაგვაახლოებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან და გაზრდის მის ხილვადობას საქართველოში.

ჩვენ მნიშვნელოვნად განვავითარებთ გასულ წელს მიღწეულ შედეგებს, პარტნიორი სახელმწიფოების ქვეყნების მხარდაჭერით გავაგრძელებთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, თავდაცვის ძალების წვრთნასა და მოდერნიზაციას, ჩვეული ძალისხმევით განვამტკიცებთ საერთაშორისო უსაფრთხოებას.

მსურს, კიდევ ერთხელ, მივულოცო ჩვენს რიგითებს, კაპრალებს, სერჟანტებს, ოფიცრებსა და ყოველ ჩვენს თანამემამულეს 2019 წელი. ახალი წელი ახალი გამოწვევების დასაწყისია, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო ღირსეულად ხვდება და განაგრძობს საქართველოს თავდაცვის ძალების აღმშენებლობას.

„ახალი 2019 წელი ბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის და სრულიად საქართველოსთვის“

გენერალ - მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია

მინდა ახალი წელი მივულოცო საქართველოს თავდაცვის ძალების თითოეულ სამხედრო მოსამსახურეს, სამოქალაქო პირებს და მათ ოჯახებს ვუსურვებ ჯანმრთელობას, წარმატებას და ბედნიერებას.

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო სამსახურისთვის და თავდადებისთვის იმ სამხედროებს, რომლებიც ამ დღესასწაულს ვერ ხვდებიან ოჯახებთან და თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მისიებში.

მადლიერებას და პატივისცემას გამოვხატავ დაჭრილ-დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ. ისინი არიან ჩვენი ქვეყნის ცოცხალი გმირები და აგრძელებენ ქვეყნის სამსახურში ყოფნას. ქედს ვიხრით ყველა იმ სამხედრო მოსამსახურის წინაშე, ვინც თავი შესწირა სამშობლოს ერთიანობას და ინტერესებს.

განვლილი წელი, ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ჩვენი შეიარაღებული ძალებისათვის მისი ტრანსფორმაციის გზაზე. ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით, გუნდური მუშაობის, საქმისადმი დამოკიდებულებისა და მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით წარმატებით გავართვით თავი ამ რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანების გადაჭრას, რისთვისაც თითოეულ თქვენგანს კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადაგიხადოთ!

ახალი 2019 წელი ბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის და სრულიად საქართველოსთვის. მე, თქვენთან ერთად, როგორც თავდაცვის ძალების მეთაური, გავაგრძელებ იმ გზას, რასაც ჩვენი უსაფრთხოების გაძლიერება და განმტკიცება ჰქვია. მომავალი წლის პროექტები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მომდევნო წელს ქვეყნის საბრძოლო მზადყოფნა უფრო ამაღლდება და უფრო მეტად თავსებადი იქნება NATO-ს სტანდარტებთან.

მჯერა, რომ მტკიცე შემართებითა და თავდადებით მივაღწევთ ყველა დასახულ მიზანს, გავაგრძელებთ თავდაცვის ძალების აღმშენებლობას და სამშობლოს სამსახურს.

„2019 წლის დადგომა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ შვილთან ერთად გორში, I ქვეითი ბრიგადის პირად შემადგენლობასთან ერთად აღნიშნა.“

თავდაცვის ძალების პირად შემადგენლობას, თავდაცვის სამინისტროს თითოეულ თანამშრომელს და სრულიად საქართველოს ვულოცავ ახალი 2019 წლის დადგომას. მინდა ქვეყნის გამთლიანება, გაძლიერება და კეთილდღეობა ვუსურვო.

გასულ 2018 წელს, თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესში, ჩვენ არაერთ წარმატებას მივაღწიეთ, რაც მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებასთან ერთად, თითოეული სამხედრო მოსამსახურისადმი სახელმწიფოს განსაკუთრებული დამოკიდებულების შედეგია. საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება მუდმივი პროცესია, რომელიც უსაფრთხოების ცვალებადი გარემოსა და ახალი გამოწვევების ფონზე, მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვს, რათა სათანადოდ დავიცვათ და უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა.

გასული წლიდან, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 2% თავდაცვაზე იხარჯება, ხოლო თავდაცვის ბიუჯეტის 20% შეიარაღებაზეა მიმართული, რაც ნატო-ს სტანდარტებს შეესაბამება და სამაგალითოა ნატო-ს არაერთი წევრი ქვეყნისთვის. წარმატებით დაიწყო და მიმდინარეობს საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP), რომლის ფარგლებში უკვე გაიწვრთნა და აღიჭურვა თავდაცვის ძალების ორი ბატალიონი. ამოქმედდა რეზერვის საპილოტე პროგრამა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ტოტალური თავდაცვის კონცეფციის განხორციელების თვალსაზრისით. ნატოს სტანდარტის ჯავშანსაწინააღმდეგო საჰაერო თავდაცვის თანამედროვე სისტემების შესყიდვით გაძლიერდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. გაიხსნა საბრძოლო მომზადების ცენტრი (ჩთჩ), განვითარდა სამხედრო განთლებისა და სამხედრო წვრთნების შესაძლებლობები. წარმატებით მიმდინარეობს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ინიციატივების იმპლემენტაცია, რომელიც ნატო-მ სხვა პარტნიორი ქვეყნებისთვის სამოდელო პროექტად აღიარა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარების თვალსაზრისით. განვითარდა და დაიხვეწა ლოგისტიკური შესაძლებლობები.

საქართველოს მთავარსარდალმა მისიებში მყოფ სამხედროებს ახალი წელი თავდაცვის მინისტრთან და თავდაცვის ძალების მეთაურთან ერთად მიულოცა

სამშვიდობო მისიებში მყოფ სამხედროებს, ახალი წელი პრეზიდენტმა, თავდაცვის მინისტრმა და თავდაცვის ძალების მეთაურმა თავდაცვის სამინისტროს მართვის ცენტრიდან მიულოცეს.

საქართველოს პრეზიდენტმა ავღანეთში და აფრიკის კონტინენტზე მყოფ ქართველ მშვიდობისმყოფელებს სიტყვით მიმართა და გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.

უმაღლესმა მთავარსარდალმა სამშვიდობო მისიებში მყოფი სამხედროების საქმიანობის მნიშვნელობა და ჯარისკაცების ქვეყნის წინაშე დამსახურება ხაზგასმით აღნიშნა.

სამშვიდობო მისიებში მყოფ სამხედროებს ახალი წელი თავდაცვის მინისტრმა და თავდაცვის ძალების მეთაურმაც მიულოცეს. ლევან იზორიამ ქართველი სამხედროების ქვეყნის წინაშე დამსახურებაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მათი წვლილი ქვეყნის წინაშე ფასდაუდებელია. ლევან იზორიამ 2018 წელს მიღწეულ წარმატებებზე და 2019 წელს დაგეგმილ მნიშვნელოვან ღონისძიებებზე ისაუბრა, რომელიც საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან კიდევ უფრო დააახლოვებს.

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მართვის ცენტრიდან ვიდეოკონფერენციის საშუალებით ჩართვა განხორციელდა ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის ოთხი ლოკაციიდან და აფრიკის კონტინენტის ორ ქვეყანაში - ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა და მალიში, სადაც ქართველი სამხედროები ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე მისიებში მონაწილეობენ.

2018 წელი – თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის შეჯამება

როგორია საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტები, მიზნები, სტრატეგიული ამოცანები და პრინციპები? რა როლი აქვს ამ პროცესებში ბიუჯეტის რაციონალურ გადანაწილებას, ტოტალური თავდაცვის სისტემას და უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერებას? როგორია ნატოსთან და ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის ზრდის დინამიკა? რა სიახლეები დაინერგა 2018 წელს სამხედროებისთვის სახელფასო უზრუნველყოფისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით? ეს ის მთავარი თემები იყო, რომელზეც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა 2018 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაციაზე ვრცლად ისაუბრა. ლევან იზორიამ საზოგადოებას საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტები და თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების გზები გააცნო.

თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტები

2018 წლის საქმიანობის შეჯამება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტების განხილვით დაიწყო და სტრატეგიული მზადყოფნის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. ლევან იზორიამ უწყების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად ნატო-სთან თავსებადობის გაზრდა დაასახელა და აღნიშნა, რომ თავდაცვის ძალებში ნატო-ს თანამედროვე სტანდარტების დანერგვა ყოველდღიურად ხორციელდება. **„ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა ნატო-სთან და ევროკავშირთან მიმართებაში სტრატეგიულ მზადყოფნასთან გავაიგივე, რაც ნიშნავს, რომ ყოველდღიურ რეჟიმში მზად უნდა ვიყოთ იმ სტრატეგიული ამოცანის განხორციელებისთვის, რასაც ჩვენი ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანება ჰქვია“,** - განაცხადა უწყების ხელმძღვანელმა. ლევან იზორიამ ორ მნიშვნელოვან პრინციპზე გაამახვილა ყურადღება - შეკავების პოლიტიკა და ტერიტორიული თავდაცვა. **„შეკავების პოლიტიკა გულისხმობს: ჩვენი თავდაცვის ძალები გავხადოთ ისეთი ძლიერი, რომ პოტენციურ აგრესორს გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ თავდასხმის შემთხვევაში ის ადეკვატურ პასუხს მიიღებს და მას ეს დიდი პოლიტიკური და სამხედრო ფასი დაუჯდება. ტერიტორიული თავდაცვის პრინციპი კი, გულისხმობს, რომ სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, აგრესორი სამხედრო გზით უნდა შეჩერდეს. შესაბამისად, ჩვენი ეროვნული თავდაცვის გეგმა, ოპერატიულ მოთხოვნებთან მიმართებაში ჰიბრიდულ საფრთხეებთან ადეკვატური უნდა იყოს“**, - აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

ბიუჯეტის რაციონალური განაწილება

ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში საქართველო სამაგალითო ქვეყანად დასახელდა

ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში საქართველო სამაგალითო ქვეყანად დასახელდა, რისი მიზეზიც ფინანსური მიმართულებით ნატო-ს სტანდარტების დაკმაყოფილება გახდა. „თითოეული პოლიტიკური ნაბიჯის წარმატება ადეკვატურ ბიუჯეტზეა დამოკიდებული და წელს პირველად საქართველოს ისტორიაში ვამკვიდრებთ ნატო-ს სტანდარტს, როდესაც თავდაცვის ბიუჯეტის 20% მიმართულია ძირითადი შეიარაღების შეძენაზე. თავდაცვის ბიუჯეტის 66%, რომელიც მიმართული იყო პერსონალურ დანახარჯებზე შემცირდა 53%-მდე და უკვე ვაკმაყოფილებთ ამ კონტექსტში ნატოს სტანდარტს. თავდაცვის მიმართულებით კი, მთლიანი შიდა პროდუქტის 2% იხარჯება. **ამ ბიუჯეტის რაციონალურად დანაწილება იყო მთავარი ამოცანა, რაც წელს, ნატოს სტანდარტების შესაბამისად განვახორციელეთ.** სწორედ ამის გამო ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში საქართველო სამაგალითო ქვეყანად დასახელდა, როგორც ნატო-ს წევრი, ისე პარტნიორი ქვეყნებისთვის, რითაც ჩვენ თქვენთან ერთად ძალიან ვამაყობთ “, - განაცხადა ლევან იზორიამ.

თავდაცვის პოლიტიკის განხორციელება

თავდაცვის უწყების საქმიანობის ანგარიშის წარდგენისას საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თავდაცვის ძალების მზადყოფნის დონის ამაღლების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე ისაუბრა. ლევან იზორიას განცხადებით, წელს პირველად შემუშავდა გრძელვადიანი შესყიდვების სტრატეგია, სადაც განსაზღვრულია ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას გულისხმობს. „განვსაზღვრეთ 5 ძირითადი პრიორიტეტი - ტანკსაწინააღმდეგო, ჰაერსაწინააღმდეგო, კონტრმობილურობის, არტილერიისა და სადაზვერვო შესაძლებლობის გაძლიერება. წელს შევიძინეთ ტანკსაწინააღმდეგო სისტემა „ჯაველინი“. წელს საფრანგეთთან ხელი მოეწერა ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შეძენის მეორე ეტაპზე გადასვლას. ამ პოლიტიკას მომავალშიც გავაგრძელებთ“, - განაცხადა ლევან იზორიამ. მინისტრმა აღნიშნა, რომ კონტრმობილურობის მიმართულებით გერმანიამ სურვილი გამოთქვა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში ამ ინიციატივას უხელმძღვანელოს. მისივე თქმით, კონკრეტული ინიციატივები განხორციელდება სადაზვერვო შესაძლებლობების გაძლიერებისა და არტილერიის მიმართულების განვითარების კუთხით.

ტოტალური თავდაცვა

ქვეყნის თავდაცვა თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დეტალურად ისაუბრა ტოტალური თავდაცვის კონცეფციაზე და მის მნიშვნელობაზე. ლევან იზორიას განმარტებით ტოტალური თავდაცვა ეროვნული რესურსების მობილიზებასა და კოორდინაციის გაუმჯობესებას, მათ შორის, უწყებათშორისი თანამშრომლობის გაძლიერებას გულისხმობს.

„ჩვენი ქვეყნის თავდაცვისთვის უნდა მოხდეს მთელი ეროვნული რესურსების მობილიზება და კოორდინაცია, მათ შორის, უწყებათშორისი თანამშრომლობის გაძლიერება. თავდაცვისუნარიანობის გაზრდასა და ნატო-ს სტანდარტებთან დაახლოებას ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერებაში ვხედავთ. როდესაც ტოტალურ თავდაცვაზე ვსაუბრობთ, ხაზი უნდა გაესვას უწყებათშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობას. წელს ჩვენ მთავრობის დადგენილებით სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის კოორდინაციის კომისია შევქმენით. ვმუშაობთ ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაზე, რომლის პროექტსაც დეკემბერში წარვადგენთ და მომავალი წლის დასაწყისში ამ სტრატეგიას ახალი უშიშროების საბჭო მიიღებს. ეს სტრატეგია დაეფუძნება, სწორედ, ტოტალური თავდაცვის პრინციპს და ამ პრინციპის საფუძველზე განისაზღვრება ცალკეული უწყებებისთვის ამოცანები და ფუნქციები“, - განაცხადა მინისტრმა.

ტოტალური თავდაცვის სისტემის ამოქმედების ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ არაერთი მასშტაბური პროექტი დანერგა. მათ შორის რეზერვის ახალი სისტემა და პროექტი „ჩვენი ჯარი“.

„ტოტალური თავდაცვის სისტემის დამკვიდრებისთვის და რეალიზებისთვის ჩვენ, როგორც უწყებათაშორის თანამშრომლობის ,ისე საზოგადოების ჩართულობის მაღალ ხარისხსაც ვუზრუნველყოფთ“,- განაცხადა ლევან იზორიამ. მინისტრის განმარტებით ტოტალური თავდაცვის სისტემის ერთ-ერთი ქვაკუთხედი პროფესიული ჯარის განვითარებაა. სწორედ ამ მიზნით, წელს, თავდაცვის სამინისტრომ საპილოტე პროექტის სახით ახალი რეზერვის სისტემა შეიმუშავა, რომელიც ერთი თვის წინ ამოქმედდა. ასევე, იგეგმება 10 წლის გრძელვადიანი სტრატეგიის შექმნა, სადაც რეზერვის ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი განვითარება აისახება.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდა თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. პასუხისმგებლობის გაცნობიერება კი, სათანადო განათლების მიღებით იწყება. სწორედ ამ მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ახალი **პროექტი „ჩვენი ჯარი“** დანერგა.

პროექტის „ჩვენი ჯარი“ მიზანი ახალგაზრდა თაობაში საქართველოს თავდაცვის ძალების შესახებ ცნობიერების ამაღლება და პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავებაა.

პროექტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენლები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მე-11 და მე-12 კლასების მოსწავლეებს ეტაპობრივად შეხვდებიან და საქართველოს თავდაცვის ძალების ისტორიის, მიზნებისა და ამოცანების, თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების, ნატო-საქართველოს ურთიერთობების, სავალდებულო და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის, რეზერვისა და მობილიზაციის კონცეფციის, საერთაშორისო მისიებსა და სწავლებებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციებს მიაწვდიან.

„ჩვენ გავეცანით რა სხვა ქვეყნების გამოცდილებას, გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს ოფიცრებს ჰქონოდათ შესაძლებლობა მოსწავლეებისთვის გარკვეული ინფორმაცია მიეწოდებინათ - რა ტიპის თავდაცვის ძალები გვაქვს, რატომ ისწრაფვის ქვეყანა გახდეს ნატო-ს წევრი, რა საფრთხეების წინაშე დგას საქართველო. წლის დასაწყისში, პირველ ეტაპზე, ჩვენ 263 სკოლა მოვიცავით 15 000 მოსწავლეს შევხვდით, მეორე ეტაპი კი 383 სკოლას მოიცავს."-განმარტა ლევან იზორიამ.

ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ფარგლებში თავდაცვის სამინისტრო მორიგი პროექტის დანერგვას გეგმავს.

„თავდაცვა და უსაფრთხოება" – სახელმძღვანელოს შექმნის ერთადერთი მიზანი მოზარდ თაობაში საფრთხეების იდენტიფიცირება, მათში პატრიოტიზმისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებაა.

14 საჯარო სკოლაში, მე-10 კლასში ახალი საგნის **„თავდაცვა და უსაფრთხოება"** სწავლება, საპილოტე რეჟიმში იგეგმება. საგანს სამხედრო გამოცდილების მქონე ის პირები წაიკითხავენ, რომელთაც მასწავლებელთა მომზადების შესაბამისი კურსი ექნებათ გავლილი. სასწავლო მასალაზე თავდაცვის სამინისტრო, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური მუშაობს. „მომავალ წელს საპილოტე პროექტის სახით ვგეგმავთ დავიწყოთ არჩევითი საგანი - „თავდაცვა და უსაფრთხოება". ამ სახელმძღვანელოს შექმნის ერთადერთი მიზანი მოზარდ თაობაში საფრთხეების იდენტიფიცირება, პასუხისმგებლობის გაძლიერება, პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცება გახლავთ. რასაკვირველია, როდესაც საფრთხეებზე ვსაუბრობთ, ქვეყნისთვის, რომლის 20% ოკუპირებულია, რუსეთი წარმოადგენს საფრთხეს. ომი, რომელიც რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ გვქონდა, არის ერთ-ერთი ფაქტი იმისა, თუ როგორ შეიძლება საფრთხის რეალიზება და ეს სახელმძღვანელოში ინფორმაციის სახით ერთ-ერთი კომპონენტი იქნება", - აღნიშნა ლევან იზორიამ.

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP)- ეროვნული დონის პრიორიტეტი

„ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით მიღწეული წარმატებები ნატოს პარტნიორი ქვეყნებისთვის სამაგალითოა"

2018 წლის შეჯამებისას ლევან იზორიამ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) მნიშვნელობაზეც ისაუბრა და განმარტა, რომ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის კონფერენციაზე, ნატოს სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ საქართველო ნატოს პარტნიორი ქვეყნებისთვის სამოდელო ქვეყანაა.

„ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი ეროვნული დონის პრიორიტეტია, რომელიც 14 ინიციატივას მოიცავს. მინდა აქტიური ჩართულობისთვის განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ყველა ქვეყანასა და ექსპერტებს. ჩვენი მიღწევები, სწორედ, ერთობლივი ძალისხმევის დამსახურებაა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ თავდაცვის შესაძლებლობების აღმშენებლობის ინიციატივის ფარგლებში, საქართველო იორდანიისთვის გამოცხადდა როგორც სამოდელო ქვეყანა. ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით მიღწეული წარმატებები ნატო-ს პარტნიორი ქვეყნებისთვის სამაგალითოა", - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP) - ტერიტორიული თავდაცვის პრინციპის მთავარი კომპონენტი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ამერიკელ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და მხარდაჭერით ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ პროგრამას საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამას (GDRP) ახორციელებს. პროგრამის აქტიური ფაზა 2018 წელს დაიწყო, რომელიც საბრძოლო მზადყოფნის დონეს აამაღლებს და საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების განვითარებაზე დადებითად აისახება. უფრო კონკრეტულად, პროგრამის მიზანია საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო ქვედანაყოფების მზადყოფნის დონის ამაღლება ტერიტორიული თავდაცვის უზრუნველსაყოფად. პროგრამა ასევე, უზრუნველყოფს მათი დაკომპლექტების წვრთნისა და აღჭურვის შესაძლებლობების განვითარებას.

თავდაცვის მინისტრის განმარტებით, ამ დრომდე საქართველოს თავდაცვის ძალები სწავლებებსა და წვრთნებს, ძირითადად საერთაშორისო მისიების შესასრულებლად გადიოდნენ. მინისტრის განმარტებით, პროგრამაში მონაწილე ყველა ბატალიონის სამხედრო მოსამსახურემ უკვე მიიღო და მომავალშიც მიიღებს ახალ, გაუმჯობესებულ სახელფასო უზრუნველყოფას, 100-დან 500 ლარის ფარგლებში, მათი წოდებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. „თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის ფარგლებში ჩვენ უკვე ორი ბატალიონი ამერიკელ ინსტრუქტორებთან ერთად მოვამზადეთ. მათ გაიარეს შესაბამისი წვრთნები, იანვრიდან მესამე როტაცია დაიწყება. პირველი როტაციის ფარგლებში 32 ამერიკელი ინსტრუქტორი მონაწილეობდა, მეორე როტაციის ფარგლებში - 29, ხოლო ქართველი ინსტრუქტორების რაოდენობა 53-დან 70-მდე გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ დამოუკიდებლად, ჩვენი ინსტრუქტორების მეშვეობით შევძლებთ ანალოგიური სწავლებებისა და წვრთნების ჩატარებას. ასევე მნიშვნელოვანია აღჭურვის კომპონენტი. პრაქტიკულად ყველა ბატალიონი გაივლის შესაბამის მომზადებას, აღიჭურვება ნატოს შესაბამისი მსუბუქი ტექნიკით, დამის ხედვის საშუალებებით და ასევე, უსაფრთხო კავშირგაბმულობის სისტემებით. ასე რომ, დაკომპლექტების, აღჭურვის, წვრთნისა და გრძელვადიან პერსპექტივაში ინსტიტუციონალური საფუძვლების განმტკიცების თვალსაზრისით, ამ პროგრამას უფრო ეფექტიანად შემდეგ წლებშიც განვახორციელებთ", -განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

სამხედრო განათლება

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აკადემიურ და პროფესიულ სამხედრო განათლებას სასკოლო საფეხურიდან სტრატეგიულ დონემდე უზრუნველყოფს. აღნიშნული სისტემა ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით არის შექმნილი. სასწავლო პროცესში ჩართულნი არიან მაღალი დონის ქართველი და უცხოელი სპეციალისტები და ინსტრუქტორები. სამხედრო სისტემის გამართული ფუნქციონირება სამხედრო მოსამსახურეთა პროფესიულ განვითარებას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს მათ სამხედრო კარიერულ წინსვლას. თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ სამხედრო განათლება თავდაცვის ძალების ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

სამხედრო განათლების მიმართულებით თავდაცვის უწყებამ 2018 წელს არაერთი სიახლე დანერგა. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სადაც მეოთხე საბაკალავრო ინჟინერიის პროგრამა და 2018-2024 წლების აკადემიის განვითარების სტრატეგია შემუშავდა. ასევე, შეიქმნა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელიც თავდაცვის სისტემაში და მის ფარგლებს გარეთ, თავდაცვისა და უსაფრთხოების კუთხით სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას უზრუნველყოფს.

2018 წელს გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების ცენტრს სერჟანტთა აკადემიის სტატუსი მიენიჭა. აღნიშნული გადაწყვეტილება საგანმანათლებლო რეფორმებს უკავშირდება, რომლის მიხედვითაც, სერჟანტთა სამხედრო პროფესიული განათლების ისტორიაში პირველად, ცენტრში სერჟანტთა სამეთაურო-საშტაბო კურსი დაიწყო. კურსი სერჟანტთა სამხედრო პროფესიული განათლების მესამე დონეს წარმოადგენს და ბატალიონისა და ბრიგადის სერჟანტებს მოამზადებს. „მნიშვნელოვანი სიახლე გახლავთ ისიც, რომ გასული წლებისგან განსხვავებით, სერჟანტებმა აიღეს პასუხისმგებლობა და წელს პირველად ათმეთაურები მოამზადეს. ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. რაც შეეხება საერთო საჯარისო მომზადების ცენტრს, ჩვენ საერთაშორისო მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსი ინგლისურ ენაზე შევიმუშავეთ, მომავალში კი გვექნება საფუძველი კურსები ჩვენი პარტნიორებისთვისაც ჩატარდეს. აღნიშნული სიახლე ხელს შეუწყობს პარტნიორი ქვეყნებიდან სერჟანტების მოზიდვასა და კურსის საერთაშორისო აღიარებას".

ბის ერთობლივი ცენტრის (JTEC) მნიშვნელობასაც გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში JTEC-ი ერთ-ერთი ყველაზე საამაყო ინიციატივაა. „მნიშვნელოვანია, რომ მომავალი წლის ნატო-საქართველოს ერთობლივი სწავლებები წარმატებულად ჩატარდეს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ აღნიშნული სწავლებების უშუალო ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი სწორედ JTEC-ი გახდება, რაც ამ ინსტიტუტისა და ინსტრუქტორების წარმატების აღიარება იქნება. მნიშვნელოვანი სიახლეები გვაქვს საჩხერის სამთო-მომზადების სკოლაში.წელს პირველად ფრანგი ინსტრუქტორების დახმარებით შემოვიღეთ სამთო-ტაქტიკური კურსი, რაც საბრძოლო ოპერაციებისთვის, მთაგორიანი რელიეფის გათვალისწინებით ოცეულების მომზადებას გულისხმობს," - განაცხადა ლევან იზორიამ.

სამხედრო სწავლებები და წვრთნები

2018 წლის საერთაშორისო სწავლებების გაზრდილი დინამიკითა და მასშტაბით გამოირჩეოდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის სასწავლო ცენტრი რომლის უმთავრესი მიზანი სტრატეგიული დაზვერვის სამხედრო მზვერავების მომზადება - გადამზადებას ხელშეწყობაა. ცენტრი, სამხედრო მზვერავების პროფესიული დონის ამაღლების მიზნით ორგანიზებას უკეთებს სპეციალურ კურსებს, სადაც გათვალისწინებულია ქვეყნის წინაშე მდგარი ისტორიული და არსებული საფრთხეების მაგალითები, თანამედროვე გამოწვევები და რისკები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარტნიორი ქვეყნების დაზვერვის სამსახურის გამოცდილებას.

სამხედრო განათლებაზე საუბრისას თავდაცვის მინისტრმა აქცენტები კარიერულ განვითარებაზე გაამახვილა. ლევან იზორიას განმარტებით, მნიშვნელოვანია დაწინაურების ისეთი სისტემის შექმნა, სადაც კარიერული წინსვლა დამოკიდებული იქნება სამხედროების განათლებაზე და პროფესიულ მომზადებაზე. „განსაკუთრებით საამაყოა, როდესაც ყოველგვარი პოლიტიკური ჩარევის გარეშე, საბჭოების მიერ მიუკერძოებლად ხდება დაწინაურება. ოფიცრის და სერჟანტის კარიერული წინსვლა დამოკიდებული იქნება მხოლოდ მათ უნარებსა და შესაძლებლობებზე". - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ.

საერთაშორისო წვრთნების ინტენსიფიკაცია

საერთაშორისო წვრთნების ინტენსიფიკაცია, როგორც რაოდენობრივი, ისე მასშტაბის თვალსაზრისით, ხელს უწყობს თავდაცვის ძალების მდგრადობის, შეკავების შესაძლებლობებისა და ნატო-სთან თავსებადობის ზრდას. საქართველოს თავდაცვის ძალები აგრძელებს აქტიურ მონაწილეობას ორმხრივ და მრავალეროვნულ წვრთნებში, რაც მიზნად ისახავს თავსებადობის გაზრდას, უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების დასაძლევად მდგრადობის გაძლიერებას და სამხედრო შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

„წელს ჩვენ გვაქვს უპრეცედენტოდ პოზიტიური დინამიკა ყველაზე მაშტაბური საერთაშორისო სწავლებებ-

ის მიმართულებით, როგორიც არის „Noble Partner“ და „Agile Spirit“. „Noble Partner“-ზე მინდა გითხრათ, რომ წელს 12 ქვეყანა მონაწილეობდა, ანუ სწავლებას დაემატა 6 ახალი ქვეყანა. სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა 3000 აჭარბებდა, რაც არის ძალიან სასიხარულო ფაქტი. რაც შეეხება „Agile Spirit“-ს, ის დასავლეთ საქართველოში წელს პირველად ჩატარდა. შეიძლება ითქვას, ეს არის ყველაზე ამბიციური სწავლებების ერთგვარი წინა რეპეტიცია. „Agile Spirit“ მომავალ წელს საქართველოში უკვე ამფიბიური და კიბერელემენტების ჩართულობით ჩატარდება. ეს საქართველოში პირველად ხდება და გვინდა, რომ დაახლოებით 28 ქვეყანამ მიიღოს მონაწილეობა, ასე რომ, ეს დინამიკა გრძელდება. ხოლო ნატო-საქართველოს ერთობლივ სწავლებაზე, ჩვენ ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში ბევრი ქვეყნისგან უკვე მივიღეთ თანხმობა“, - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ.

საერთაშორისო მისიები

ჩვენ ამაყი ქვეყანა ვართ, რადგან მსოფლიოში ჩვენს პარტნიორებთან და სტრატეგიულ მოკავშირე ქვეყნებთან ერთად მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვან კონტრიბუციას ვახორციელებთ.

საქართველო საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში აქტიურად მონაწილეობს და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში საერთაშორისო ოპერაციების წარმატებით განხორციელებაში. საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების მაღალი საბრძოლო მზადყოფნის დონის შენარჩუნებას, საბრძოლო გამოცდილების მიღებას, მოტივაციისა და მხედრული სულისკვეთების ამაღლებას განაპირობებს, რაც საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და მოკავშირე ძალებთან სამხედრო თავსებადობის ამაღლების თვალსაზრისით. წლების მანძილზე, საერთაშორისო მისიების შესრულებისას, ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა მაღალი საბრძოლო მომზადების დონე და ურთულესი ამოცანების შესრულების უნარი არაერთხელ დაადასტურეს, რითაც საქართველოს გლობალური უსაფრთხოების სფეროში საიმედო მოკავშირე ქვეყნის სახელი დაუმკვიდრეს.

„ჩვენ ამაყი ქვეყანა ვართ იმით, რომ მსოფლიოში ჩვენს პარტნიორებთან და სტრატეგიულ მოკავშირე ქვეყნებთან ერთად მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში, წესებზე დაფუძნებულ მსოფლიოს განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვან კონტრიბუციას ვახორციელებთ და ჩვენ ერთგული ვრჩებით ამ პასუხისმგებლობის მომავალშიც. წელს ჩვენ ავდანეთში მონაწილეობას 870 სამხედრო მოსამსახურით ვაგრძელებთ. ასევე ცენტრალურ აფრიკაში ევროკავშირის საწვრთნელი მისიის ფარგლებში ერთი ოცეულით ვართ წარმოდგენილი. მალიში ვართ ერთი ოფიცრის სახით და ბოლოს, ჩვენ ასევე აღვნიშნეთ ნატო-ს რეაგირების ძალებში ჩვენი ასეულების მონაწილეობა. წელს 2-3 კვირის წინ, გვქონდა შესაძლებლობა “ჩარლი” ასეულის “ალფა” ასეულით ჩაანაცვლება ერთად გვეზეიმა. ორწლიანი მომზადების შემდეგ, მათ ნატოს სერტიფიკატები მიიღეს და მომავალი წლის იანვრიდან მზად არიან შეუდგნენ საბრძოლო მორიგეობას. საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის ფარგლებში, ყოველთვის იყვნენ მზად თავიანი მისიის შესრულებისთვის“, - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა 2018 წლის საქმიანობის შემაჯამებელ ანგარიშზე.

2018 წელი - ლოგისტიკის წელი

ჩვენ ამაყი ქვეყანა ვართ, რადგან მსოფლიოში ჩვენს პარტნიორებთან და სტრატეგიულ მოკავშირე ქვეყნებთან ერთად მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვან კონტრიბუციას ვახორციელებთ.

„ჩვენ, სიმბოლურად, წლევანდელ წელს ლოგისტიკის წელი ვუწოდეთ. ამით, პრაქტიკულად, აბსოლუტურ თანხვედრაში ვართ იმ პრიორიტეტებთან, რომელიც ნატოს აქვს განსაზღვრული,“ - განაცხადა ლევან იზორიამ 2018 წლის საქმიანობის შეჯამებისას და გადაადგილების საკოორდინაციო ცენტრის მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტები. „ამ ცენტრმა თავის თავი დაამტკიცა სწორედ, Noble Partner-სა და Agile Spirit-ის ფარგლებში. პირველად გვაქვს შესაძლებლობა, რომ ტექნიკა რკინიგზის საშუალებით პირდაპირ ვაზიანში მივიღოთ. ეს გადაადგილების საკოორდინაციო ცენტრის ერთ-ერთი პასუხისმგებლობაა,” - განმარტა უწყების ხელმძღვანელმა. მინისტრმა ყურადღება ავტოსატრანსპორტო საშუალებების სარემონტო ბაზაზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ სარემონტო სამუშაოების ადგილზე ჩატარება მნიშვნელოვნად დაზოგავს დროს, ენერგიას და ხარჯებს. „შევიმუშავეთ არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიც არის მარაგების ანალიზის დოკუმენტი, მასპინძელი ქვეყნის დოქტრინა, ასევე შევიმუშავეთ გრძელვადიანი იმპლემენტაციის სტრატეგია. მომავალ წლებში სწორედ, ლოგისტიკა დარჩება ერთ-ერთ პრიორიტეტად, რათა, სწორედ, სამოქმედო გეგმის მიხედვით განვახორციელოთ პრიორიტეტული მიმართულებები,“ - განაცხადა ლევან იზორიამ ლოგისტიკური უზრუნველყოფის კუთხით განხორციელებულ რეფორმებზე საუბრისას.

ადგილობრივი სამხედრო წარმოება

ადგილობრივი სამხედრო წარმოების ხელშეწყობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. 2018 წლის საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციაზე თავდაცვის მინისტრმა სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ “დელტასთან” ერთად განხორციელებული პროექტები მოიხილა. „ჩვენ პირველად სწორედ დელტას მიერ წარმოებული ჯავშანჟილეტები და ჩაფხუტები მივიღეთ ხმარებაში. ამისთვის 5 მილიონის მობილიზება მოვახდინეთ ბიუჯეტში და ამას მომავალ წლებშიც გავაგრძელებთ. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი “დელტას” მიერ წარმოებული სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანების შეძენით საუდის არაბეთი და ინდონეზია არიან დაინტერესებულნი“.

სოციალური მხარდაჭერა და ჯანმრთელობის დაცვა

ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებზე ზრუნვაა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2018 წლის საქმიანობის ანგარიშის წარდგენისას ლევან იზორიამ დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებზე ზრუნვა უწყების უმთავრეს პრიორიტეტად დაასახელა. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ამერიკელ პარტნიორებთან ერთად წეროვანში უპრეცედენტო, რეგიონული მასშტაბის, ამერიკული სტანდარტების, სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს, სადაც სამხედროებს დასვენებისა და ფიზიკური მომზადებისთვის საუკეთესო პირობები ექნებათ. ულტრათანამედროვე ახალი ცენტრი სრულად უპასუხებს ჩვენი დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების მოთხოვნებს. ცენტრის აღჭურვისთვის 2019 წელს 1 800 000 ლარია გამოყოფილი.

„თითოეული ჩვენგანი განსაკუთრებით მადლიერია იმ წარმატებებისთვის, რომელსაც ჩვენი დაშავებული სამხედროები სპორტის მიმართულებით აღწევენ. წელს უკვე მეორედ, ისინი ძლიერთა თამაშებში უძლეველები არიან, განსაკუთრებით კი ფრენბურთში. რა თქმა უნდა ასეთ აქტივობებს მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს მომავალში“, - აღნიშნა ლევან იზორიამ.

„ეს პროცესი 2013 წლიდან დაიწყო. ჩვენ ყოველ წელს გავცემთ ბინებს და აქტიურები ვართ ამ კუთხით. ჩვენ ვასრულებთ ვალდებულებებს და 2019-2020 წლებში სრულად 733 სამხედრო მოსამსახურე, რომელთა წინაშეც თავდაცვის სამინისტროს აღებული აქვს ვალდებულებები, უზრუნველყოფილი იქნება ბინებით“.

ქუთაისში გიორგი აბრამიშვილის სახელობის სამხედრო ჰოსპიტალის ახალი სამედიცინო ცენტრი გაიხსნა რომელიც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა სრულ ამბულატორიულ მომსახურებას უზრუნველყოფს.

ახალი სამედიცინო ცენტრი იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არიან დისლოცირებულნი, დროულ და კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას გაუწევს; გაიზრდება სამხედრო მოსამსახურეებისთვის სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა, დაიზოგება რესურსები და შემცირდება დასავლეთ საქართველოდან პაციენტების ტრანსპორტირებაზე დახარჯული დრო. გარდა ამისა, ახალი ცენტრი რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფს. პროექტის ღირებულება 2 375 341 ლარს შეადგენს.

დაიწყო ახალი, გაუმჯობესებული სახელფასო უზრუნველყოფა სამხედრო მოსამსახურეებისთვის.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი სამხედროებისთვის სახელფასო უზრუნველყოფის გაუმჯობესებაა. როგორც უწყების ხელმძღვანელი ლევან იზორია განმარტავს, ამ მიმართულებით ცვლილება ეტაპობრივად ყველა სამხედრო მოსამსახურეს შეეხება. „დავიწყეთ ახალი, გაუმჯობესებული სახელფასო უზრუნველყოფა სამხედრო მოსამსახურეებისთვის. რეფორმა წელს 2500-მდე სამხედრო მოსამსახურეს შეეხო“. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ამჟამად საუბარია ინსტრუქტორებსა და საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის ფარგლებში მომზადებულ ბატალიონებზე. „ჩვენ გვაქვს ამბიცია მოვიცვათ სხვა ელიტური ბატალიონებიც, რათა სახელფასო პოლიტიკა და გაუმჯობესებული ანაზღაურება იყოს რეალობა. 2020 წლისთვის 10 000-მდე სამხედრო მოსამსახურე შეძლებს განახლებული სახელფასო უზრუნველყოფის მიღებას.

სამხედრო ჰოსპიტალის ახალი სამედიცინო ცენტრი ქუთაისში

2019–2020 წლებში, ყველა ის სამხედრო მოსამსახურე ვის წინაშეც უწყებას ვალდებულება აქვს აღებული, ბინებით უზრუნველყოფილი იქნება.

ცენტრი უახლესი მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აპარატურითა და ხელსაწყოებით აღიჭურვა, რომელთა საერთო ღირებულება 1 700 000 ლარია. „ჩვენ გამოვკითხეთ სამხედრო მოსამსახურეები. მათ გამოთქვეს სურვილი, რომ სამხედროებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის, დასავლეთ საქართველოს მსგავსად, აღმოსავლეთ საქართველოშიც, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა ჰქონოდათ. სწორედ ამ სურვილის გათვალისწინებით ქუთაისში გაიხსნა ახალი სამხედრო ჰოსპიტალი, რაც ჩვენი სამხედროებისთვის ხარისხიან, დროულ და ეფექტიან სამედიცინო სერვისებს უზრუნველყოფს“ - განმარტა თავდაცვის მინისტრმა.

„ანტისაჰაერო სისტემების შესყიდვა ჩვენი საჰაერო სივრცის და საქართველოს თითოეული მოქალაქის დაცულობის მნიშვნელოვანი გარანტია" - ლევან იზორია

საჰაერო თავდაცვის კომპონენტში საქართველო და საფრანგეთი თანამშრომლობის მეორე ეტაპზე გადადის. საჰაერო თავდაცვის მართვისა და კონტროლის სისტემის შესყიდვასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ფრანგულ მხარესთან მნიშვნელოვანი კონტრაქტი გააფორმა, რომლითაც გრძელდება საჰაერო თავდაცვის სისტემების შესყიდვა. ხელშეკრულებას ხელი საქართველოს თავდაცვის მინისტრის საფრანგეთის რესპუბლიკაში ვიზიტის დროს, ამა წლის 8 დეკემბერს მოეწერა. ლევან იზორიას განცხადებით, კონტრაქტში გაწერილი მიმართულებებით მომავალში უკვე შესაძლებელი იქნება ნატო-ს ერთიანი მართვისა და კონტროლის სისტემაში ინტეგრირება. ვიზიტის ფარგლებში, საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მინისტრის რეზიდენციაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის დახვედრის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა, რის შემდეგაც კოლეგებმა - ლევან იზორიამ და ფლორანს პარლიმ საფრანგეთსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებს შორის ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში დისლოცირებული სამხედრო კონტინგენტის ლოგისტიკური უზრუნველყოფის შესახებ ტექნიკურ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. ლევან იზორიას თქმით, საქართველო კვლავაც ერთგული რჩება იმ წვლილის, რომელიც მას ევროკავშირთან ერთად ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით შეაქვს.

ვიზიტის დეტალებზე ჩვენს კითხვებს, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ უპასუხა



ბატონო მინისტრო, როგორ შეაფასებთ ანტისაჰაერო სისტემების შესყიდვასთან დაკავშირებულ პროცესებს?

ჩვენ მადლობას ვუხდით საფრანგეთის რესპუბლიკას მისი სამხედრო-სამრეწველო ბაზრის გახსნისათვის. პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, რაც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავზარდოთ ქვეყნის საჰაერო სივრცის კონტროლის ხარისხი. უკვე განხორციელდა გარკვეული საშუალებებისა და სისტემების მოწოდება და პროცესი გეგმიურად მიმდინარეობს. მოხარული ვარ, რომ ვიზიტის ფარგლებში ფრანგულ კომპანიასთან ხელი მოვაწერეთ კონტრაქტის მეორე ფაზას. მნიშვნელოვანია, რომ საჰაერო თავდაცვის სფეროში გაფორმებული კონტრაქტების პარალელურად საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს საქართველოსთვის კიდევ ერთ პრაქტიკულ მექანიზმს ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე, ხელმძღვანელობს საჰაერო თავდაცვის პროექტს. აღსანიშნავია, რომ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ჩვენის მხრიდან წარმატებული განხორციელება ცალსახად შეფასდა, როგორც ნატოს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების ინიციატივის (DCB Initiative) მიმღები ქვეყნებისთვის სამაგალითო პრაქტიკა. არსებული გამოცდილების გაზიარება კი ნატო-ს მოთხოვნით, საქართველომ უკვე მოახდინა იორდანიასთან.

ბატონო მინისტრო, რას გვეტყვით საფრანგეთისა და საქართველოს საერთაშორისო მისიებში ერთობლივი მონაწილეობის შესახებ?

საქართველო კვლავინდებურად განაგრძობს საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურ მხარდაჭერას საერთაშორისო მშვიდობის და სტაბილურობის განმტკიცების კუთხით. ჩვენი სამხედროები მრავალი წელია ერთად დგანან საერთაშორისო მშვიდობის სადარაჯოზე და ჩვენ ამ თანამშრომლობას ძალიან ვაფასებთ. თქვენ იცით, რომ საქართველო, საფრანგეთის მხარდაჭერით მონაწილეობას იღებს ცენტრალური აფრიკის სამშვიდობო მისიაში (EUTM RCA) და კვლავაც ერთგული რჩება იმ წვლილისა, რომელიც მას ევროკავშირთან ერთად, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით შეაქვს. მზად ვართ შევინარჩუნოთ ოცეული ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 2020 წლის სექტემბრამდე. ვიზიტის ფარგლებში სწორედ ამ პასუხისმგებლობის ტექნიკურ შეთანხმებას მოვაწერეთ ხელი - „საფრანგეთის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებს შორის ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში (CAR) ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში განლაგებული სამხედრო კონტინგენტის ლოგისტიკური უზრუნველყოფის შესახებ".

ბატონო მინისტრო, როგორია ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გამოცდილება საერთაშორისო სწავლებებისა და სამხედრო განათლების კუთხით?

ჩვენთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ნატო-ს მეტი ჩართულობა საქართველოში მიმდინარე პროექტებსა და წვრთნებში. ყოველწლიურად ვმასპინძლობთ სხვადასხვა მრავალეროვნულ წვრთნას, რომელთა მასშტაბი და მონაწილე ქვეყნების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

როგორც იცით, საფრანგეთმა წელს პირველად მიიღო მონაწილეობა სწავლება ობელ არტნერ-ში. 2019 წელს საქართველოში დაგეგმილია ნატო-საქართველოსა და გილე შპირიტ-ის წვრთნები და იმედს გამოვთქვამთ, რომ მათში ფრანგული მხარე უფრო აქტიურად იქნება წარმოდგენილი. მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი ამ გზაზე, საფრანგეთის წვლილს საჩხერის სამთო მომზადების სკოლის დაარსებასა და განვითარებაში, რომელსაც ნატო-მ პარტნიორობის მომზადების და განათლების ცენტრის სტატუსი მიენიჭა (PTEC) და ჩვენი თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს წარმოადგენს.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საფრანგეთის სამხედრო ინსტიტუტების მიერ შემოთავაზებული კურსები, რომლებსაც ყოველწლიურად ესწრებიან ქართველი ოფიცრები. მოხარული ვარ, რომ ამჟამად ერთი ქართველი ოფიცერი გადის უმაღლეს კურსს ომის კოლეჯში. სამხედრო განათლების კუთხით აღსანიშნავია ეროვნული თავდაცვის აკადემიასა და სენ-სირ კოეტკიდანის აკადემიას შორის არსებული თანამშრომლობა. მოხარული ვარ, რომ დღეს ორი სამხედრო მოსამსახურე გადის ბაკალავრის პროგრამას სენ-სირ კოეტკიდანის სამხედრო აკადემიაში.

ბატონო მინისტრო, როგორ შეაფასებთ საფრანგეთში ვიზიტის შედეგებს?

მსურს ხაზი გავუსვა ჩვენს უწყებებს შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობას. თანამშრომლობა ჩვენს სამინისტროებს შორის მომავალში კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ნაყოფიერი გახდება. ჩვენი ქვეყანა ძალიან აფასებს საფრანგეთის როლს ევროკავშირთან და ნატო-სთან ურთიერთობაში. იმედს გამოვთქვამ, რომ საქართველოს ინტენსიური რეფორმების და სწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით საფრანგეთი კიდევ უფრო გაზრდის თავის მხარდაჭერას ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით. მივესალმებით საფრანგეთის მხრიდან გაჟღერებულ ინიციატივას დიმიტრი ამილახვარის სახელობის ყოველწლიური ორმხრივი პოლიტიკური დიალოგის ფორმატის შექმნასთან დაკავშირებით, რომლის პირველი შეხვედრაც უნდა ჩატარდეს 2019 წლის მარტში. ასევე საგულისხმოა, რომ ჩამოყალიბდა გერმანია-საფრანგეთი-საქართველოს პოლიტიკური კონსულტაციების სამმხრივი ფორმატი, რომლის ფარგლებშიც საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს შორის პირველი შეხვედრა 14 ნოემბერს პარიზში გაიმართა. ჩემს კოლეგასთან საუბრისას გამოიკვეთა ორმხრივი სურვილი, რომ ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები და ჩვენი პარტნიორები პოზიტიურად განიხილავენ ამ ფორმატს და ეს ცხადია, ხაზს უსვამს, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისეთი ქვეყნების დღის წესრიგში როგორიც გერმანია და საფრანგეთია. მე დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნულ ფორმატში, მომავალში ასევე შესაძლებელი გახდება კონსულტაციების გამართვა თავდაცვის სამინისტროებს შორის.

რაც შეეხება საჰაერო თავდაცვის მართვისა და კონტროლის სისტემის შესყიდვასთან დაკავშირებულ კონტრაქტს, აღნიშნული ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას საჰაერო თავდაცვის კომპონენტში, რაც არის მნიშვნელოვანი გარანტია ჩვენი საჰაერო სივრცის დაცულობისა და ამით საქართველოს თითოეული მოქალაქის დაცულობისა.

„დიდგორი 2018“ - ერთადერთი ეროვნული, სტრატეგიული დონის უწყებათაშორისი სწავლება საქართველოში

„ტოტალური თავდაცვა და მისი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც ემსახურება უწყებათაშორისი თანამშრომლობის კოორდინაციას, რომელიც ემსახურება ეროვნული რესურსების მობილიზებას, განსაკუთრებით სტრატეგიულ დონეზე, სწორედ ამ სწავლებით იქნება უზრუნველყოფილი“;

ლევან იზორია, თავდაცვის მინისტრი, 10 დეკემბერი 2018 წელი

10 დეკემბერს ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის სამწყობრო მოედანზე უწყებათშორისი სამეთაურო-საშტაბო სწავლება „დიდგორი 2018“ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ყველა სახელმწიფო უწყება ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სწავლებაში ერთად მონაწილეობს. სწორედ ამ მნიშვნელობაზე მეტყველებდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძისა და თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას აქტიური მონაწილეობა სწავლების განხორციელების პროცესში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწავლების გახსნის ოფიციალური ცერემონიალი ახლად აშენებული ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის შტაბის წინ მოეწყო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წელს სწავლება „დიდგორი 2018“-ის დაგეგმვა მთლიანად ნატო-ს დოქტრინული სახელმძღვანელოს მიხედვით განხორციელდა.

სწავლების გახსნის ოფიციალური ღონისძიების დასრულების შემდეგ მოწვეულმა სტუმრებმა ნატო-საქართველოს წვრთნებსა და შეფასების ერთობლივი ცენტრის ახალი შტაბის შენობაში გადაინაცვლეს. „დიდგორი 2018“-ის ხელმძღვანელმა, ბრიგადის გენერალმა ზაზა ჩხაიძემ სწავლების შესახებ საინფორმაციო ბრიფინგი ჩაატარა და მოწვეულ სტუმრებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.
აღნიშნული ღონისძიების პარალელურად, კრწანისში და საქართველოს მთავრობის კანცელარიაში „დიდგორი 2018“-ში მონაწილე პერსონალი სწავლების დასაწყებად სრულ მზადყოფნაში მოვიდა.

რა არის „დიდგორი“?

სწავლება „დიდგორი“ წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით ტარდება. სწავლების სცენარი მთლიანად გამოგონილია, თუმცა გამოწვევებისა და საფრთხეების სრულად ადეკვატურია. მოქმედებები გამოგონილ იოტას რეგიონში ვითარდება და მოიცავს ჰიბრიდულ, კრიზისულ და კონვენციური ტიპის საფრთხეებს.

სწავლება ფოკუსირებულია უწყებათშორის კოორდინაციაზე და ტოტალურ თავდაცვაზე. სწავლების მიზანია ტოტალური თავდაცვის პრინციპიდან გამომდინარე კრიზისული სიტუაციების, საგანგებო და საომარი მდგომარეობის მართვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, უწყებათშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება და უზრუნველყოფის ოპერაციების დახვეწა. გარდა ამისა დიდგორი 2018-ში განსაკუთრებული აქცენტი ლოგისტიკურ კომპონენტზე გაკეთდა. ლოგისტიკური მიმართულებით 2018 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. განხორციელდა ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეცენტრალიზება, ავტონომიურობა, მობილურობა და შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის მართვისა და კონტროლის გამარტივება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სწორედ ამ რეფორმირებული სტრუქტურის სწავლებაში შემოწმება, რაც სწავლების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა.

სწავლება სამ ლოკაციაზე მიმდინარეობდა:

პირველი - საქართველოს მთავრობის კანცელარია, სწავლების სტრატეგიული დონე, სადაც სამთავრობო უწყებების მაღალი დონის

წარმომადგენლები სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე მუშაობდნენ.

მეორე - ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი ძირითადად სამხედრო თავდაცვის ძალების კომპონენტს დაეთმო. ადგილზე ასევე განთავსებული იყო ინციდენტების ჯგუფი, რომელიც სცენარის მიხედვით პირობით მოვლენებს ქმნიდა და ამის შესახებ იმიტირებული მედიის დახმარებით თუ სხვა საშუალებით სამიზნე აუდიტორიას ატყობინებდა.

მესამე - სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის II ქვეითი ბრიგადა სენაკში, სადაც კონცენტრირებული იყო დასავლეთ საქართველოს ყველა უწყების რესურსი.

მთავრობის კანცელარიაში იყო ასევე უწყებათშორისი სრატეგიული კომუნიკაციების ცენტრიც. ამ ცენტრის მიზანი საინფორმაციო კუთხით მთავრობის გადაწყვეტილებების მხარდაჭერა და სტრატეგიული კომუნიკაცია წარმოადგენდა. უწყებათშორისი სტრატკომი სპეციალური ვებ-პორტალის დახმარებით იმიტირებული მედიის მიერ მომზადებულ რეპორტაჟებს ეცნობოდა და საინფორმაციო ომში უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა.

ხუთი დღის განმავლობაში სწავლება აქტიურად მიმდინარეობდა. სახელმწიფო უწყებები ჯერ კრიზისულ სიტუაციაზე რეაგირებდნენ, შემდეგ კი საომარ მდგომარეობაში ურთიერთქმედებდნენ.

რამდენმე სიტყვით სწავლების ისტორიის შესახებ: „დიდგორს“2012 წელს ჩაეყარა საფუძველი და თავდაპირველად მხოლოდ შეიარაღებული ძალების მონაწილეობას ითვალისწინებდა მიზნად.

სწავლებაზე გამოვლენილი მნიშვნელოვანი საკითხებიდან გამომდინარე 2013 წლიდან „დიდგორი“ გაერთიანებულ უწყებათაშორის სამეთაურო-საშტაბო სწავლებად გარდაიქმნა და მასში აქტიურად ჩაერთვნენ ეროვნული უშიშროების საბჭოს, უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოებისა და ქვეყნის ყველა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები.
დღეს კი „დიდგორი“ ერთადერთ ეროვნულ, სტრატეგიული დონის უწყებათაშორის სწავლებას წარმოადგენს.

„მშვიდობიანობის პერიოდში ჩვენი დაგეგმვისა და მუშაობის კოორდინაციის მაღალი ხარისხი უნდა უზრუნველყოფდეს სწორედ ისეთი უნარების გამომუშავებას, რომლითაც ჩვენ კრიზისისა და სხვადასხვა გართულებების შემთხვევაში შევძლებთ ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ფუნქციებითა და სერვისებით უწყვეტ უზრუნველყოფას“. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, 10 დეკემბერი 2018 წელი.

ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი პასუხისმგებლობაა - ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლესი კურსი თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში

,,მთლიანობაში კურსს ვაფასებ ძალიან დადებითად. ის აძლევს საშუალებას მონაწილეებს ინტენსიური ლექცია-მოხსენებების გზით, შემჭიდროვებულ დროში მიიღონ თავდაცვისა და უსაფრთხოების თემატიკაზე მრავალგანზომილებიანი ინფორმაცია, რასაც ხშირად მთელი აკადემიური სემესტრი სჭირდება უნივერსიტეტებში. ასევე, ესაა საუკეთესო სივრცე საზოგადოების განსხვავებული ინტერეს და პროფესიული ჯგუფების შეხვედრის და ერთსა და იმავე საკითხზე ინდივიდუალური და პროფესიული ხედვების გაცვლის, და შეფასების. ბოლოს, კი ჯგუფური სიმულაციური თამაში არის განსაკუთრებულად კარგი კომპონენტი, როცა ჟურნალისტსაც, სამხედროსაც, პოლიტიკოსსაც, სტუდენტსაც ერთად უწევთ ყველაზე რთულ ვითარებაში ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება, გამოსავლის ძიება, რაც ცვლის დამოკიდებულებას პოლიტიკოსთა ნაბიჯების მიმართ“, 2013

თავდაცვა და უსაფრთხოება რომ საერთო ეროვნული პასუხისმგებლობაა, ამაზე დღეს აღარავინ კამათობს. ამ პასუხისმგებლობისათვის თავის გასართმევად, პირველ რიგში, საჭიროა საერთო ხედვისა და მოტივაციის მქონე საჯარო და სამოქალაქო სექტორი. სწორედ ამ სექტორების საერთო ძალისხმევით მიიღწევა ქვეყნის ეროვნული ინტერესები და იქმნება უსაფრთხო გარემო სწრაფი და სტაბილური განვითარებისთვის.
სწორედ ამ მოცემულობით ხელმძღვანელობდა თავდაცვის სამინისტრო, როცა სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ადაპტირებული კურსების მსგავსად 2012 წელს „ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსი“ ჩამოაყალიბა და მას შემდეგ, სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ორგანიზებით, ესტონეთის თავდაცვის სამინისტროსა და ნატო-ს პროფესიული განვითარების პროგრამის მხარდაჭერით საქართველოში ყოველწლიურად ტარდება.

,,პროგრამა ძალიან საინტერესოდ არის შედგენილი, ლექციებს შორის საინტერესო ბმაა. ძალიან კმაყოფილი და მოხარული ვარ ამ კურსზე მოხვედრით“, 2015

„მიუხედავად იმისა, რომ 25 წელზე მეტია ვმოღვაწეობ სამხედრო ჟურნალისტიკის სფეროში, ბევრი საინტერესო დეტალი გავიგე, თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ სხვადასხვა სფეროში მომუშავე ადამიანებმა ერთმანეთი შედარებით ახლოს გაიცნეს (მათ შორის არაფორმალურ სიტუაციაში), რამაც წესით უნდა გააადვილოს მათი სამსახურებრივი თანამშრომლობაც მომავალში, რაც საერთო ჯამში საქართველოს გაძლიერების ინტერესშია“, 2016

,,კურსი ერთ-ერთ ყველაზე ინტენსიური ფორმატია, ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ,, კურსი იყო უაღრესად საინტერესო, ინფორმაციული, მრავალფეროვანი, ხელს უწყობდა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ნდობის და თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში“, 2014

*,,ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ,,ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში“, 2013

ბოლო 12 წლის განმავლობაში „საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია" რეგიონში უნიკალურ ფორუმად ჩამოყალიბდა, სადაც ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისა და რეგიონული სტაბილურობის წინაშე არსებული გამოწვევები განიხილება

ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების ცვალებადი გარემო, არსებული საფრთხეები, ტოტალური თავდაცვის თანამედროვე გამოწვევები, ნატო-ს „ღია კარის პოლიტიკა" ბრიუსელის სამიტის შემდეგ, საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივები, შავი ზღვის გეოპოლიტიკა - ეს არის როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი რეგიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თემების ჩამონათვალი, რომლის შესახებ „საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის" მონაწილეები ბათუმში ორი დღის განმავლობაში მსჯელობდნენ.

2018 წლის 1-2 ნოემბერს, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კიდევ ერთხელ უმასპინძლა „საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციას" (GDSC). ბოლო 12 წლის განმავლობაში „საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია" რეგიონში უნიკალურ ფორუმად ჩამოყალიბდა, სადაც ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისა და რეგიონული სტაბილურობის წინაშე არსებული გამოწვევები განიხილება. კონფერენციას 300-მდე მონაწილე დაესწრო, მათ შორის მაღალი რანგის ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსები, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს ექსპერტები, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

„საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია" ყოველწლიურად გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს, საერთაშორისო ექსპერტებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს მასპინძლობს, რომლებიც საერთაშორისო წესრიგის წინაშე არსებული უმნიშვნელოვანესი გამოწვევების შესახებ ინტერაქციული პლენარული სხდომებისა და ღია დისკუსიების ფორმატში ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებსა და ხედვებს უზიარებენ.

კონფერენცია ხუთი ინტერაქციული სესიისგან შედგებოდა. პირველი პანელი „ქვეყნები წნეხის ქვეშ - საფრთხეების შეკავებას" შეეხებოდა, რომელსაც „პენ ბაიდენის დიპლომატიისა და გლობალური ჩართულობის ცენტრი" მასპინძლობდა. სესიას პენ ბაიდენის ცენტრის დირექტორი მაიკლ კარპენტერი მოდერატორობდა. როგორც მან აღნიშნა, ქვეყნებმა, რომლებიც წნეხის ქვეშ არიან, მნიშვნელოვანი რეფორმები უნდა განახორციელონ, მათ შორის სამხედრო მიმართულებით. ამ კონტექსტში მაიკლ კარპენტერმა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების კუთხით მიმდინარე რეფორმები გამოყო და მათ სხვა ქვეყნებისთვის სამაგალითო უწოდა. პანელზე სიტყვით გამოსვლა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა უსაფრთხოების განახლებული მიდგომის ფარგლებში ორ ნაწილად - პოლიტიკურ და პრაქტიკულ მიმართულებებად დაყო. „ადეკვატურად გვაქვს აღქმული რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო. ვთვლით, რომ ვიმყოფებით გეოპოლიტიკური კონკურენციის პირობებში, როგორც ეს აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაშია აღნიშნული და რომლის მთავარი გამოწვევა დასავლეთის შენარჩუნება და გაძლიერება და ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერის როლის გამოცოცხლებაა", - აღნიშნა ლევან იზორიამ და ხაზი გაუსვა არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების გამკლავების მიზნით ამ ქვეყნებისთვის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავებას, რაც ადეკვატურად აისახა აშშ-ის ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტში და სადაც საქართველოსაც აქვს განსაკუთრებული როლი.

პრაქტიკული თვალსაზრისით თავდაცვის მინისტრმა განხორციელებული რეფორმების ის მიმართულებები დაასახელა, რომელმაც საქართველოს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნებისთვის სამაგალითო ქვეყნის სახელი მოუპოვა. ამ კონტექსტში ლევან იზორიამ გამოყო მთლიანი შიდა პროდუქტის თავდაცვის ხარჯებზე 2%-ის მიმართვა, თავდაცვის ბიუჯეტის 20%-ის შეიარაღებაზე მიმართვა, შესყიდვების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, კონტრმობილურობის განვითარება, საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის განხორციელება და სადაზვერვო შესაძლებლობების განვითარება. მინისტრის თქმით, ფოკუსირება ხდება ტერიტორიულ თავდაცვაზე და მრავალეროვნული ერთობლივი წვრთნებიც სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით ტარდება. გარდა ამისა, თავდაცვის მინისტრმა ყურადღება ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ნატოს სტანდარტებთან თავსებადობაზე გაამახვილა.

„საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის" მეორე პანელი ტოტალური თავდაცვის თანამედროვე გამოწვევების შესახებ მსჯელობას დაეთმო. დისკუსიას მოდერატორობას ესტონეთის პარლამენტის ეროვნული თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ჰანეს ჰანსო უწევდა. მონაწილეებმა ტოტალური თავდაცვის კონცეპტუალურ პრინციპებზე ისაუბრეს და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება განიხილეს.

ატლანტიკური საბჭოს მკვლევარის არიელ კოენის აზრით, ტოტალური თავდაცვის კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ერთიანი სამთავრობო მიდგომისა და შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება, რეგულარული უწყებათშორისი სწავლებების ჩატარება, ასევე საზოგადოების საინფორმაციო და ფსიქოლოგიური მდგრადობა. ამ მიმართულებით მან განსაკუთრებული ყურადღება სასწავლო დაწესებულებებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების მნიშვნელობაზე გაამახვილა.

შვედეთის ელჩმა საქართველოში ულრიკ ტიდესტრომმა მონაწილეებს საკუთარი ქვეყნის პრაქტიკული გამოცდილება გაუზიარა. როგორც მან აღნიშნა, ახალი საფრთხეების გაჩენასთან ერთად იზრდება თავდაცვის ბიუჯეტი და ძლიერდება როგორც სამხედრო, ასევე ტოტალური თავდაცვის შესაძლებლობები. ელჩის განცხადებით, ტოტალური თავდაცვა არის მზადება ომისთვის, რომელიც სამოქალაქო და სამხედრო ასპექტებს აერთიანებს და ხშირად, მას უწოდებენ პასუხს ჰიბრიდულ გამოწვევებზე. სესიის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლელა ჩიქოვანმა პანელის სპიკერებს გამოცდილების გაზიარებისთვის მადლობა გადაუხადა. მან საქართველოსთვის ტოტალური თავდაცვის მნიშვნელობაზე ისაუბრა და მონაწილეებს ამ მიმართულებით თავდაცვის უწყების მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე მიაწოდა ინფორმაცია.

მესამე პანელს - „ევროატლანტიკური საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევები - ცვალებად უსაფრთხოების გარემოსთან ადაპტირება" - დიდი ბრიტანეთის უსაფრთხოების კვლევების გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტმა (RUSI) უმასპინძლა. სესიას მოდერატორობა ღ შI-ს უფროსმა მკვლევარმა იუნ ლოუსონმა გაუწია.

სესიის ყველა მომხსენებელი შეთანხმდა, რომ ევროპის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად აუცილებელია ერთიანობა და ადეკვატური ადაპტაცია. სესიის მონაწილეთა აზრით, მშვიდობიანმა მსოფლიომ საფრთხეებთან გასამკლავებლად საერთო მიდგომა უნდა შეიმუშაოს და მიმართოს ერთიანი შეკავების ძალისხმევას დიალოგითა თუ დიპლომატიით. აღინიშნა, რომ ვარშავის სამიტის შემდეგ ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა ნატოს ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელდა.

საერთაშორისო ფორუმის მეორე დღე ბრიუსელის სამიტის შემდეგ ნატოს „ღია კარის პოლიტიკაზე" საუბრით დაიწყო. პანელის ყველა მომხსენებელმა ნატოში გაწევრიანების გზაზე საქართველოს წარმატებულ ტრანსფორმაციას გაუსვა ხაზი. მათი თქმით, ნატო-ს „ღია კარის" პოლიტიკა ძალაში რჩება და საქართველო ალიანსის წევრი აუცილებლად გახდება. აღინიშნა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველომ ალიანსში ინტეგრაციის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, განსაკუთრებით თავდაცვის სფეროში და დღეს ქვეყანა მზადაა ალიანსში გასაწევრიანებლად, თუმცა რუსეთი და მის მიერ შექმნილი სხვადასხვა დაბრკოლება ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების შემაფერხებელი მიზეზი არ უნდა გახდეს.

საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის მეხუთე პანელი მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციასთან (უნიცჰ შეცურიტყ ჩონფერენცე) პარტნიორობით გაიმართა და შავი ზღვის გეოპოლიტიკის პერსპექტივების განხილვას დაეთმო. მონაწილეებს ვიდეოკონფერენციის საშუალებით სიტყვით მიმართა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის თავმჯდომარემ, ვოლფგანგ იშინგერმა. მან ფორუმის მონაწილეებს მნიშვნელოვანი სიახლე აცნობა და განაცხადა, რომ მომავალი წლის თებერვალში საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაში პარტნიორის სტატუსით იქნება წარმოდგენილი. იშინგერმა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გამოწვევებზე ისაუბრა და ნატო-ს გააქტიურების საჭიროებაზე გაამახვილა ყურადღება.

კონფერენციის პარტნიორები არიან დიდი ბრიტანეთის უსაფრთხოების კვლევების გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტი (ღ შI), პენ ბაიდენის დიპლომატიისა და გლობალური ჩართულობის ცენტრი, ჯეიმსთაუნის ფონდი და მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია (თჰე უნიცჰ შეცურიტყ ჩონფერენცე), ხოლო კონფერენციის სპონსორები - იდენო (IDENO), თალესი (THALES) და ზენ ტექნოლოგიები (ZEN Techonologies).

ახალი სამედიცინო ცენტრი ქალაქ ქუთაისში სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის!

2018 წლის 15 ნოემბერს ქუთაისში, გიორგი აბრამიშვილის სახელობის სამხედრო ჰოსპიტალის ახალი სამედიცინო ცენტრი გაიხსნა.

სამედიცინო ცენტრი უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების, თავდაცვის სამინისტროში დასაქმებული სამოქალაქო პირებისა და მათი ოჯახის წევრების, აგრეთვე სამხედრო პენსიონერების, საქართველოს და უცხო ქვეყნების მოქალაქეების სრულ ამბულატორიულ მომსახურებას.

ცენტრი უზრუნველყოფილია თერაპიული და ნევროლოგიური პროფილის სტაციონარული განყოფილებით, მათ შორის საშიშ ინფექციური დაავადებებისთვის განკუთვნილია სპეციალური ბოქსირებული პალატა, აღნიშნული სერვისით ისარგებლებენ მხოლოდ შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები.

სამედიცინო ცენტრი აღჭურვილია რეაბილიტაციის კაბინეტებით რაც ძალზედ მნიშვნელოვანია სამშვიდობო მისიებში დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისთვის.

ცენტრი აგრეთვე უზრუნველყოფს სამხედრო სამედიცინო კომისიის ჩატარებას, ყოველ წლიურად დასავლეთ საქართველოდან ცენტრალურ ჰოსპიტალში აღნიშნულ კომისიას გადის დაახლოებით 900 სამხედრო მოსამსახურე.

ქუთაისში ახალი სამედიცინო ცენტრის შექმნის ინიციატივა საქართველოს თავდაცვის მინისტრს ეკუთვნის.

„ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გახლავთ სამხედრო მოსამსახურეებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის სოციალური პირობების მაქსიმალურად გაუმჯობესება. სწორედ ამ პოლიტიკის

ფარგლებში, ჩვენ გამოკითხვა ჩავატარეთ სამხედრო მოსამსახურეებთან, რის შედეგადაც დავადგინეთ პრიორიტეტული საჭიროებები. განსაკუთრებული მოთხოვნა იყო ისეთი ტიპის სამედიცინო ცენტრის არსებობა დასავლეთ საქართველოში, როგორიც აღმოსავლეთ საქართველოშია. ორი წლის წინ მივიღეთ გადაწყვეტილება, დასავლეთ საქართველოშიც გვქონოდა თანამედროვე, მაღალი ტექნოლოგიების სამედიცინო ცენტრი. ცენტრი ძალიან კვალიფიციური კადრებით იქნება დაკომპლექტებული და უზრუნველყოფს სამედიცინო სერვისებით ხარისხიან და დროულ მომსახურებას დასავლეთ საქართველოში დისლოცირებულ სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის“, - აღნიშნა ჰოსპიტალის საზეიმო გახსნაზე თავდაცვის მინისტრმა.

ქალაქი ქუთაისი შეირჩა სამხედრო ჰოსპიტალში დასავლეთ საქართველოდან მომართვიანობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლის გამო. 2017 წლის განმავლობაში სამხედრო ჰოსპიტალის ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით დასავლეთ სარდლობის 2248 სამხედრო მოსამსახურემ ისარგებლა.

ქუთაისის სამედიცინო ცენტრის დაგეგმვის პროცესი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბთან და სამედიცინო დეპარტამენტთან მჭიდრო კონსულტაციებით მიმდინარეობდა.

პროექტის განხორციელებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის დასავლეთ სარდლობის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის ქვედანაყოფებმა.

სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის კანონით გათვალისწინებული შიდა შემოსავლებით, გენერალურ შტაბთან კოორდინაციით, აშენდა და აღიჭურვა. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის შედეგად გაიზრდება სამხედრო მოსამსახურეებისთვის სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა, დაიზოგება რესურსები და შემცირდება დასავლეთ საქართველოდან პაციენტების ტრანსპორტირებაზე დახარჯული დრო. მაღალკვალიფიციური ამბულატორიული და ჰოსპიტალური სამედიცინო მომსახურება კი, თავის მხრივ მათ მოტივაციას აამაღლებს. გარდა ამისა, ახალი ცენტრი რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფს. 2018 წლის დეკემბერში დასრულდა ცენტრის სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტება. პერსონალის შერჩევა ღია კონკურსის წესით მოხდა.

პროექტის ღირებულება 4 მილიონ ლარს შეადგენს, საიდანაც 1 700 000 ლარი სამედიცინო აპარატურით აღჭურვას მოხმარდა.

ქუთაისის სამედიცინო ცენტრის გახსნა არის საფუძველი ჰოსპიტალური სექტორის განვითარებისათვის, არსებული ცენტრი იძლევა საშუალებას უახლოეს მომავალში აშენდეს რეანიმაციისა და საოპერაციო ბლოკებისათვის დამატებითი შენობა, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდება მულტიპროფილური კლინიკა, რაც უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალებისთვის სრულ სამედიცინო მომსახურებას.

„პროექტმა „ჩვენი ჯარი" ეროვნული სულისკვეთება გაგვიძლიერა"

ლევან სამხარაძე, 139-ე საჯარო სკოლის მოსწავლე

პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერება, შეიარაღებული ძალებისა და ნატო-საქართველოს ურთიერთობების მნიშვნელობა, ჯარის კიდევ უფრო ახლოს გაცნობა, ეს ის მთავარი მიზნებია, რასაც პროექტი „ჩვენი ჯარი" ემსახურება და ის სკოლის მოსწავლეების სამხედრო ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად. პროექტი 2018 წლის ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად განახლდა, მისი მეორე ეტაპი კი ნოემბრის თვეში დასრულდა. უფროს კლასელებთან შეხვედრებზე, სამხედრო მოსამსახურეებმა შეიარაღებული ძალების შესახებ გაცნობითი ხასიათის პრეზენტაციები წარადგინეს. თავდაცვის უწყების წარმომადგენლებმა მოსწავლეებს საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორია, მიზნები და ამოცანები, ასევე თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები გააცნეს. ისინი სავალდებულო და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის, რეზერვისა და მობილიზაციის კონცეფციის, შეიარაღებულ ძალებში განათლებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების, ნატო-საქართველოს ურთიერთობების, საერთაშორისო მისიებსა და საერთაშორისო სწავლებებში საქართველოს მონაწილეობის შესახებაც საუბრობდნენ. შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

139-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ლევან სამხარაძე ჩვენთან საუბარში პროექტის შესახებ აღნიშნავს: "სკოლის მოსწავლეებისთვის ამ ტიპის შეხვედრები სტიმულია, კიდევ უფრო მეტად გავიცნოთ და დავუახლოვდეთ შეიარაღებული ძალების ღირებულებებს და უფრო მეტად გაგვიღვივდეს სურვილი, სამხედრო სამსახურში წასვლისა. პროექტმა „ჩვენი ჯარი„ ეროვნული სულისკვეთება გაგვიძლიერა. „

პროექტი „ჩვენი ჯარი" 2018 წლის გაზაფხულზე დაიწყო. პირველ ეტაპზე სამხედროები 185-მდე სკოლას ესტუმრნენ, ოქტომბერსა და ნოემბერში კი თავდაცვის უწყების წარმომადგენლებმა საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 400-მდე სკოლაში გამართეს შეხვედრები. „ჩვენი ჯარი" საქართველოს მასშტაბით ხორციელდება და ქვეყნის რეგიონებს ეტაპობრივად მოიცავს. „ვფიქრობთ, სამხედრო მოსამსახურეებთან მოზარდების უშუალო კონტაქტით შესაძლებელი იქნება პატრიოტიზმის განმტკიცება და ცნობიერების ამაღლება იმ საკითხზე, თუ რას აკეთებს ქართული ჯარი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის, სტრატეგიული კავშირების გასაძლიერებლად, იმ მთავარი მიზნისთვის, რასაც ჩვენი ქვეყნის ღირსების დაცვა და მისი უსაფრთხოება ჰქვია" - აღნიშნავს საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ლევან იზორია.

პროექტის განხორციელებით, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები იმედს გამოთქვამენ, რომ მოზარდებისთვის კიდევ უფრო ცხადი გახდება ის მთავარი მიზნები და ამოცანები, რასაც ქართული ჯარი ემსახურება და რაც ქვეყნის ღირსების დაცვასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას გულისხმობს.

I კლასის რიგითი, გოგა გოგლიჩაძე: „ჯარისკაცისთვის უპირატესი ადამიანის სიცოცხლეა!"

„ჯარისკაცი" - ეს სიტყვა გმირობასთან ასოცირდება. „ჯარისკაცი გმირია" - გეტყვის დიდი თუ პატარა, რომელსაც დღისით თუ ღამით, სიცხესა თუ სიცივეში, ყოველწუთს ქვეყნის მშვიდობიანობის სადარაჯოზე სამხედრო მოსამსახურეები ეგულება. როგორც ჩანს, გმირობასთან გაიგივებული პროფესია, მარტო პროფესია არ არის... ეს არის ღირებულებები, ტრადიციები, მათზე დაფუძნებით გამომუშავებული უნარ-ჩვევები, რომელიც საბოლოოდ გმირის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ქმნის და ვლინდება ყველა (არამარტო პროფესიული ვალდებულების შესრულებისას) ექსტრემალურ ვითარებაში...

ასე მოხდა ზაფხულში, როცა I კლასის რიგითმა, გოგა გოგლიჩაძემ ხიდიდან შენიშნა მამაკაცი, რომელიც მდინარე რიონში გადახტა. უცნობი მამაკაცის გადარჩენის მიზნით, ჯარისკაცი წყალში შევიდა და მაშველების მისვლამდე მას დახმარება აღმოუჩინა. „ცურვის არცოდნის მიუხედავად, წყალში შევედი, იმ წუთას საკუთარ თავზე არ ვფიქრობდი", - გვეუბნება გოგა გოგლიჩაძე. I კლასის რიგითი იმ დღეს ადამიანის გადარჩენით გამოწვეული სიხარულით იხსენებს და ღიმილით ამბობს, რომ შეყვარებულთან თავის მოწონების საშუალებაც მიეცა.

I კლასის რიგითი გოგა გოგლიჩაძე საქართველოს თავდაცვის ძალების III ქვეითი ბრიგადის 32-ე ქვეით ბატალიონში მეტყვიამფრქვევად მსახურობს.

რა თქმა უნდა, ამ ფაქტით არც დაწყებულა და არც დასრულდება ჯარისკაცების სამოქალაქო გმირობის მაგალითები.

მოქალაქე, რომელმაც ახალგაზრდა ქალი დახრჩობას გადაარჩინა, თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურე აღმოჩნდა. შემთხვევა შემოდგომაზე დიდუბის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

IV მექანიზებული ბრიგადის რიგითი, ბაჩუკი ირემაძე მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა, როდესაც ინციდენტის თვითმხილველი გახდა. მაშველების მისვლამდე რიგითი ბაჩუკი ირემაძე მტკვრის კალაპოტში ჯებირიდან გადახტა და ახალგაზრდა ქალი ნაპირზე ამოიყვანა.

თავდაცვის ძალების ჯარისკაცების სამოქალაქო გმირობის ფაქტები თავდაცვის უწყების ხელმძღვანელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ რიგითი გოგა გოგლიჩაძე მადლობის ნიშნად „გლოკის" ტიპის სამსახურებრივ-საშტატო იარაღით დააჯილდოვეს; ლევან იზორიამ რიგით ბაჩუკი ირემაძეს საჩუქრად „ზიგ ზაუერ"-ის ცეცხლსასროლი იარაღი გადასცა.

თავადაც აღიარებენ, რომ ჯარისკაცის პროფესია რთულია. საკუთარი ცხოვრების განმავლობაში ეს ადამიანები სამხედრო და სამოქალაქო გმირობის მაგალითებით იხუნძლებიან და ამით ხდებიან ჩვენთვის საინტერესო, პატივსაცემი და მისაბაძნი. ჯარისკაცების სამოქალაქო გმირობის ამბების თხრობა გვინდა დავასრულოთ I კლასის რიგითის, გოგა გოგლიჩაძის სიტყვებით - „ჯარისკაცისთვის უპირატესი ადამიანის სიცოცხლეა!"

საშობაო პროპაგანდა

შობა ბევრისთვის წლის განსაკუთრებულად ემოციური დღეა. პროპაგანდისტების თვალსაზრისით კი, ის შეიძლება იყოს როგორც შესაძლებლობა, ისე გამოწვევა, რაც დამოკიდებულია სტრატეგიულ საჭიროებებზე - თუ რამდენად წარმოადგენს კამპანიის მიზანს სულისკვეთების გაძლიერება ან მისი დაცემა. რადგან საშობაო პერიოდში დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც სცდება მხოლოდ კონფლიქტებს და მოიცავს რეკლამას (ცალკეული პროდუქციის მოხმარების წახალისება) და პატრიოტულ სადღესასწაულო მილოცვებს, სტატიაში საახალწლო მილოცვის სახით, შობა-ახალ წელს პროპაგანდის ცალკეულ ისტორიულ მაგალითებს განვიხილავთ.

თავიდან მცირე განმარტებებით დავიწყოთ. პროპაგანდის ჩვენებური განმარტება, გარეტ ჯოვეტისა და ვიქტორია ო'დონელისგან მომდინარეობს: „პროპაგანდა არის დამოკიდებულებების ფორმირების, ცნობიერების მანიპულაციისა და ქცევის მართვის მიზანდასახული, სისტემატიური მცდელობა, რომლის შედეგი პროგაპანდისტის სასურველ განზრახვას უწყობს ხელს.“

როგორც წესი, პროპაგანდა სცდება დეზინფორმაციას ან უბრალო პოსტერებს და წინასწარგანზრახული, დამარწმუნებელი კომუნიკაციის ყველა საშუალებას მოიცავს. პროპაგანდა აგნოსტიკურია - ის შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც კეთილი საქმისთვის, ისე პირიქით. ეფექტური პროპაგანდის ძირითადი არსი ისეთ გზავნილებში მდგომარეობს, რომლებიც სამიზნე აუდიტორიის ემოციურ მდგომარეობას უკავშირდება. გზავნილებს, რომლებიც მოცემულ მომენტში, სამიზნე აუდიტორიის ემოციებს ასახავენ, დარწმუნების უფრო მაღალი ალბათობა ექნებათ.

შობა მეტად ემოციური პერიოდია. მაღალია ოჯახური იდილიის მოლოდინი, რასაც შეიძლება ნოსტალგიისა და მარტოობის გრძნობა მოჰყვეს მათთვის, ვინც ვერ ახერხებს ოჯახებთან ერთად ყოფნას.

ასეთი განწყობა წარმატებულად იქნა გამოყენებული კამპანიაში, რომელიც კოლუმბიელი პარტიზანების დემობილიზაციას ისახავდა მიზნად. „ოპერაცია შობამ“ კოლუმბიელი პარტიზანების მწუხარებით მოახდინა მანიპულირება და საშობაო პერიოდში მათ დემობლიზაციის წამახალისებელი გზავნილები გაუვრცელა. შედეგად, წინა წელთან შედარებით, დემობილიზაციის მაჩვენებელი 30 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული კამპანიის ეფექტურობა მდგომარეობს არა, ზოგადად, სამიზნე აუდიტორიაზე ზემოქმედებაში, არამედ, სასურველი შედეგის მისაღწევად, მოცემულ დროს, აუდიტორიაში არსებული ემოციური მდგომარეობის პროვოცირებაში.

ემოციებს ოდითგანვე იყენებდნენ მოწინააღმდეგის საბრძოლო სულისკვეთების დასაცემად, მათ შორის შობის ჟამს. მოკავშირეთა ჯარების დემორალიზაციის მიზნით, მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანელები მწუხარების თემატიკით მანიპულირებდნენ და შესაბამის ფლაერებს თვითმფრინავებიდან ყრიდნენ. ერთი ასეთ მაგალითი იყო დედის და შვილების სურათი, სადაც დედა კითხულობდა, თუ რატომ არ იყო მათთან ერთად მამა.

კორეის ომის დროს ჩინელი პროპაგანდისტები ამერიკელი სამხედროების მორალის დაცემას კლასობრივი დაყოფის საკითხის მანიპულირებით ცდილობდნენ. ეს საშობაო პროპაგანდისტული ფლაერი ასახავს ფლორიდაში მცხოვრებ მამაკაცებსა და ქალებს, ხოლო მათ ქვეშ ჯარისკაცები მკაცრ პირობებში მარშირებენ და მკითხველს მიმართავენ: შენ სად ხარ? ფლაერი აღძრავს კითხვას ომის არსის შესახებ, თუ ვინ იღებს მისგან სარგებელს და ვის ხარჯზე. გაცილებით რთულია, საშობაო პერიოდში, გაღვივებული კონფლიქტის მსვლელობისას, საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება და ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება. პირველი მსოფლიო ომის დროს, საბრძოლო მოტივაციის გასაძლიერებლად, გერმანულმა პროპაგანდამ ჯარისკაცების მიერ შობის აღნიშვნა ფრონტის ხაზზე და ოჯახის ფონზე გამოსახა.



ზოგიერთმა ამერიკულმა საშობაო პროპაგანდამ კიდევ უფრო ხალისიანი ელფერი მიიღო. პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროინდელ პოსტერებზე გამოსახული სანტა კლაუსი მოსახლეობას მოუწოდებდა მხარი დაეჭირა საომარი ძალისხმევისთვის, როგორც სამხედრო სამსახურის სახით, ისე სამხედრო ობლიგაციების შეძენით (ომის დროს ინფლაციის კონტროლის მექანიზმი) ან ჯარებისთვის ამანათების გაგზავნით.

თავად სანტა კლაუსი, საშობაო პროპაგანდის თვალსაზრისით, საინტერესო შესწავლის საგანია. წითელ ფერში შემოსილი ჩრდილოეთ პოლუსის მკვიდრი მამაკაცი შორსაა III საუკუნის წმინდა ნიკოლოზისგან, რომელსაც სერიოზული საქმეები ჰქონდა, მაგალითად, „სამი ღარიბი დის გადარჩენა, რომლებსაც მამა მონობაში ან პროსტიტუციის მიზნით გაყიდვას უპირებდა და მათზე მზრუნველობა, რათა ისინი დაოჯახებულიყვნენ“, ვიდრე ბავშვების ოცნებების მატერიალური ასრულება.

მე-19 საუკუნის განმავლობაში, რაც შობის დღესასწაულზე საჩუქრების ჩუქებამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა, სანტა კლაუსი მაღაზიების რეკლამებში გამოჩნდა და ხალხს პროდუქციის შეძენისკენ მოუწოდებდა. „1841 წელს, ფილადელფიის მაღაზიას ბუნებრივი ზომის სანტაკლაუსის მოდელის სანახავად ათასობით ბავშვი ეწვია.“ სავარაუდოდ, სწორედ ამერიკულმა კომპანიამ ჩამოაყალიბა თანამედროვე სანტა კლაუსის იმიჯი. 1920-იანი წლებიდან, კოკა-კოლა სანტა კლაუსს საშობაო რეკლამისთვის იყენებს. არაფერია ისეთი პროპაგანდისტული, როგორც რეკლამა.

საშობაო რეკლამები მაყურებლის ემოციებით ხშირად მანიპულირებენ. ინტერნეტის განვითარების კვალობაზე, ასეთი რეკლამების შექმნა, რომლებიც ფართოდ ვრცელდება, მაღალბიუჯეტიან კომპანიებს შორის კონკურენციას წარმოადგენს. ხშირად, რეკლამები მაყურებელში ძლიერი გულითადი რეაქციების პროვოცირებას ახდენენ, ოჯახური იდილიის დემონსტრირებით ან მომხმარებლების სიხარულის წარმოსახვით, რომლებსაც სურვილები მოულოდნელად, რეალურ დროში შეუსრულდათ. ასეთი რეკლამები, აუდიტორიისთვის დადებითი განწყობის შექმნასთან ერთად, მიზნად ისახავენ როგორც კომპანიების და მათი შესაბამისი შეთავაზებების პოპულარიზაციას, ისე სამიზნე აუდიტორიის ერთგულ მომხმარებლებად ჩამოყალიბებას (რომ არ ვახსენოთ ამ ვიდეოების მოწონება და გაზიარება ინტერნეტით).

ზოგჯერ, ერთი ადამიანის კომერციული საშობაო პროპაგანდა მეორე ადამიანის კომუნისტური ძირგამომთხრელი საქმინობაა. გამოძიების ფედერალური ბიუროს ეჭვი ჰქონდა ამჟამად უკვე კლასიკად ქცეულ ფილმზე „ცხოვრება მშვენიერია“ (“It's a Wonderful Life”), როგორც კომუნისტურ პროპაგანდაზე. ბიუროს მიხედვით, ფილმი, თავისი ნეგატიური კაპიტალისტი პერსონაჟი პოტერით, ზედა კლასის დისკრედიტაციას ახდენდა და ცდილობდა, ყველა ვისაც ფული ჰქონდა, წარმოეჩინა როგორც ბოროტი და საზიზღარი არსება. იმ დროს, როდესაც ფილმის უკან, “ცნობილ კომუნისტებთან ახლოს მდგომი“, სცენარისტები იდგნენ, მთავარი რეჟისორი ფრენკ კაპრა მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ის შეიარაღებული ძალებისთვის პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდა. ფილმი ოსტატურად თამაშობს აუდიტორიის გრძნობებზე, რადგან მთავარი გმირი გაიგებს, თუ როგორი იქნება სამყარო მის გარეშე.

საბჭოთა კომუნისტებმა, თავის მხრივ, უარი თქვეს შობაზე ათეისტური იდეოლოგიის გამო და პროპაგანდის გასავრცელებლად და პატრიოტული სულისკვეთების გასაღვივებლად, მას ახალი წელი არჩიეს. თუ ადრეული გზავნილები რევოლუციის გამარჯვების გამყარებას ემსახურებოდა, კოსმოსში პირველი ადამიანის გაშვებამ ციური მისწრაფებები გაზარდა და კოსმოსურ დიდებას თოვლის ბაბუაც შეუერთდა.

იქამდე, სანამ შობა ემოციებს აღძრავს, მას პროპაგანდა სათავისოდ გამოიყენებს. ყოველი საშობაო გზავნილის მიღების შემთხვევაში, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც რაიმე გრძნობა აღგეძრებათ, შეჩერდით და გაითვალისწინეთ: ვინ დგას ამ გზავნილის უკან? რა გრძნობას იწვევს იგი? რა მოქმედებას ელის ჩემგან გზავნილის შემქმნელი? პროპაგანდა ყველგანაა - და თუ ადამიანი ყურადღებით არ იქნება, განსაკუთრებით, წელიწადის ისეთ დროს, რომელიც სავსეა ემოციებით, მისი დარწმუნება გაცილებით ადვილი იქნება.

წყარო: www.lageneralista.com

პროფესია - ჯარისკაცი

საქართველოს თავდაცვის ძალების ერთ დიდ მთლიანობად წარმოდგენა ყველა ჩვენგანისთვის ადვილია, რადგან ქვეყნის სიყვარულის, დაცვისა და უსაფრთხოების განცდას ჩანასახშივე წარმოშობს.

როგორც იტყვიან, ჭეშმარიტება დეტალებშია, დეტალები კი ქმნის ერთიანობას. საქართველოს თავდაცვის ძალების ერთიანობა დგას ისეთი სამხედრო სპეციალობის ადამიანების შრომასა და თავდადებაზე, როგორიც არის მფრინავი, მეზენიტე, სნაიპერი, ტოპოგრაფი, მყვინთავი, ელექტრიკოსი, ბორტინჟინერი, მესანგრე, სამხედრო მუსიკოსი, ალპინისტი, კინოლოგი, პარაშუტისტი და სხვა.

ფოტოპროექტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის ძალებიდან 12 სამხედრო მოსამსახურე, 12 სპეციალობით ფოტოგრაფმა ლაშა ბაგულიშვილმა გადაიღო. სხვა მრავალ სამხედრო სპეციალობათა შორის, ამ ეტაპზე, 12 მათგანს გაგაცნობთ, პროფესიებს ჯარში, როგორც დეტალებს, როგორც საქართველოს თავდაცვის ძალების ერთიანობის საფუძველს.

მწერლები მშვიდობისთვის

27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში წიგნის - „მწერლები მშვიდობისთვის“ პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნი - „მწერლები მშვიდობისთვის“ თავდაცვის უწყებამ გამოსცა. ამავე სახელწოდების პროექტის პრეზენტაცია მაისში ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა. მშვიდობის ეგიდით გაერთიანებულმა თორმეტმა ქართველმა მწერალმა შექმნა შემოქმედებითი ნაწარმოებები, რომლებიც ერთ კრებულად გამოიცა. წიგნში შესულია: ბესიკ ხარანაულის „მეფე და რაინდი“, ლია სტურუას „ორი სიტყვა თავისუფლებაზე“, თეონა დოლენჯაშვილის „წითელი ჭიანჭველები“, ზვიად კვარაცხელიას „ერთი მწიკვი სიმართლე“, ალეკო შუღლაძის „კაპრალი“, გიორგი კეკელიძის „ორი ცხენი“, ბასა ჯანიკაშვილის „სუკიტორი მიუცი“, რეზო თაბუკაშვილის „გაცურვა“, ნინო სადღობელაშვილის „ამანათი გამარჯვებულისთვის“, სალომე ბენიძის „სარკე“, გაგა ნახუცრიშვილის „მოლოდინი და გამგზავრება“ და რატი ამაღლობელის „სიტყვა“. ავტორები ნაწარმოებებში თხრობის საკუთარი მანერით, სიუჟეტის განვითარების დინამიკურობითა და დასწრების ეფექტით ყვებიან ისტორიებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას უახლეს წარსულში გადახდა. ნაწარმოებებში მოთხრობილ ამბებს ჰყავს რეალური გმირები, რომელთა შორის უმრავლესობა სამხედრო მოსამსახურეა. პერსონაჟების ინდივიდუალურ თავგადასავლებში ქვეყნის ისტორიის ეპიზოდებია შერწყმული, ასევე საუბარია ომის თანამედროვე სპეციფიკაზე - ჰიბრიდულ ომზე, ქალი სამხედროების მხედრულ მამაცობასა და ჯარისკაცების თავდადების მაგალითებზე.

„ინიციატივა პირველ რიგში უკავშირდება თავდაცვის ძალებისა და საზოგადოების ურთიერთობის განმტკიცებას. საზოგადოების განწყობებსა და ემოციებს გამოხატვა სჭირდება - როგორც მხატვრებმა ისე მწერლება უდიდესი საქმე გასწიეთ, როდესაც არა მხოლოდ თქვენი უშუალო დამოკიდებულება და ემოციები, არამედ როგორც თავში ვახსენე, საზოგადოების განწყობა და ემოციებიც გამოხატეთ თქვენი შემოქმედებით“ - ასე მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ

საჯარო ბიბლიოთეკაში შეკრებილ საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროექტში მწერლების ჩართულობა სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის საუკეთესო გამოვლინებაა. მან პროექტის მონაწილე თითოეულ მწერალს მადლობის სიგელები გადასცა და შობა-ახალი წელი სიმბოლური საჩუქრებით მიულოცა.

ღონისძიებას წარუძღვა ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, მწერალი გიორგი კეკელიძე, რომელმაც პროექტის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა. მოგვიანებით, მან სიტყვა პროექტის მონაწილე ქართველ მწერლებს გადასცა. ავტორებმა საზოგადოებისა და ჯარის ერთიანობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, ასევე ყურადღება მუშაობის პროცესსა და ნაწარმოებების პერსონაჟებზე გაამახვილეს.

პრეზენტაციას თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია და თავდაცვის ძალების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „მწერლები მშვიდობისათვის“ შეიარაღებული ძალების ღირებულებების შესახებ თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული კონცეფციის ნაწილია. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია ამავე კონცეფციის ფარგლებში უკვე განხორციელდა პროექტი - „მხატვრები მშვიდობისათვის“ და მომზადდა ვიდეორგოლები - “ერთიანი ღირებულებებით საქართველოსთვის”.

გაზეთის გავრცელების ხელშეწყობისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მადლობას უხდის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო